კვირა, 1919 წ. იანვრის 5 № 4
ფასი თბილისში და პროვინციაში 1 მან. რკ. გზის სადგურებზე 1 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

**რ ე დ ა ქ ც ი ა**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

**კ ო ნ ტ ო რ ა**

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ელირება—40 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 15 მანეთი. ცალკე № 1 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 25 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

**ტელეფონი** რედაქციისა და კონტორისა 15—73

## უკანასკნელი ცნობები

ლონდონიდან ზ. ავალიშვილის დეპეშის თანახმად ინგლისმა საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა.

შულავერთან ხელთ იგდეს სომხეთის სამხედრო საბუთები ჰდროს მიერ ხელმოწერილი, რომლითაც მტკიცდება, რომ სომხები ჯერ კიდევ 10 ღვინობისთვეს აპირობდენ საქართველოზე თავდასხმას.

პარლამენტმა გადაწყვიტა საქართ. დამფუძნებ. კრება 14 თებერვალს მოიწვიოს.

მოკავშირენი ახლო მომავალში ჩაიბარებენ გერმანიის სავაჭრო გემებს.

რუმინიის მთავრობამ ოფიციალურად აღიარა ტრანსილვანიის უკონდიციოთ შემოერთება.

მიიღება ხელის მოწერა

## ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

# „საქართველო"

**1919 წელ.** | წელიწადი მეხუთე | **1919 წელ.**

გაზეთი არის ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებას: ვაჭრობა-მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის წარმატებას, აგრეთვე საპროფესიო და სატეხნიკო ცოდნათა გავრცელებას. გაზეთში უახლოეს თანამშრომლობას ეწევიან ცნობილი პუბლიცისტები და მწერლები.

მორიგ მასალის გარდა 10 იანვრიდან გაზეთში დაიბეჭდება ვასილ ბარნოვის დიდი ისტორიული

რომანი **„ტრფობა წამებული"** რომანი

### გაზეთის ფასი:

**წლით—150 მან., ნახევარი წლით—75 მან., სამი თვით—40 მან., ერთი თვით (მხოლოდ თბილისში)—15 მან.**

მიიღება ხელის მოწერა

ხელის მომწერს, რომელიც გაზეთის ფასს გარდა კიდევ 10 მანეთს შემოიტანს, მიეცემა წლის ბოლომდე

**გერონტი ქიქოძის წიგნი ეროვნული ენერგია**

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის მისამართი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგრამის მისამართი: თბილისი „საქართველო". ტელეფონი—15—73. კონტორა ღიაა დილით 9—3 ს.

გულ დამწვარნი: თამარ გიორგის ასული, ექ. გიორგი მიხეილის ძე, ბარბარე მიხეილის ასული და არჩილი გიორგის ძე ლოლობერიძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 31 ქრისტეშობისთვის ბრძოლის ველზე სომხებთან შეტაკებისას სამშობლოსთვის მოიკლა პირველის ძვირფასი ქმარი და მეორეთა საყვარელი სიძე სტუდენტი—ექიმი

**დიმიტრი (მიტო) ლევანის ძე**

**გომელაური**

პანაშვიდები ყოველ დღე საღ. 5 საათ. ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. დაკრძალვა კვირას, 5 იანვარს ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის სასაფლაოზე. გამოსვენება წირვის შემდეგ.
1—2000—1

უზომო მწუხარებით შეწუხებულნი ოლგა ფარსადანის ასული და ლევან დავითის ძე დავლიანიძენი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ რომ 22 ქრისტეშობისთვეს სოფელ ზელიკლიუჩის მახლობლად მოკლულ იქმნა სომხებისგნით ვერაგულათ სტუდენტი კიევის პოლიტეხნიკუმისა კომისრის თანაშემწე

**მიხეილ (მიშა) დავითის ძე**

**დავლიანიძე**

მიცვალებულს გამოასვენებენ დღეს კვირას, 5 იანვარს დილის 9 ნახევარ საათზედ ნიკოლოზის ქუჩიდგან № 50. ნიკოლოზის ეკლესიაში (ჩუღურეთი) წირვის შემდეგ დაკრძალვა მოხდება დიდუბის ეკლესიის გალავანში.
1—2001—2003—1

მიხეილ გიორგის ძე და ეკატერინე ალექსანდრეს ასული ერისთავები, მარიამი გიორგის ასული შვილებით ავალიშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი პირველისა და მეორის ბიძაშვილი, მესამეთა დისწული

**თამარა ფავლენიშვილი**

დაკრძალვა მოხდება დღეს, კვირას 5 იანვარს ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. წირვა დაიწყება 9 ნახ. ს. 1—2005—1

კნ. ნინო გიორგის ასული ფავლენიშვილისა შვილებით ელენე, ბარბარე და თინათინ, ძალუა ბარბარე ალექსანდრეს ასული ფავლენიშვილისა ქალით ანასტასიათი და ბიძები ალექსანდრე და იასონი გიორგის ძენი ფავლენიშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს რომ 3 იანვარს უდროოდ გარდაიცვალა

**კნ. თამარა ვასილის ასული**

**ფავლენიშვილი**

წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, კვირას, 5 იანვარს დილის 10 ს. 1—2004 1

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი: მაკა (მარიამი) იოსების ასული ნაცვლიშვილისა და მისი მეუღლე სიკო სიძე ნაცვლიშვილი თვისი შვილებით, ანდრო ცოლით, კოსტია, გაიოზი და დეიდა ანეტა თავისი ქმარ-შვილით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 31 ქრისტეშობისთვეს ბრძოლის ველზე იყო მოკლული სომხებთან ბრძოლის დროს, პირველისა და უკანასკნელის დისწული დანარჩენების დეიდაშვილი საყვარელი და დაუვიწყარი

**დიმიტრი (მიტო) ლევანის ძე**

**გომელაური**

4-ბატარეის 2-საარტილერიო ბრიგადის მოხალისე. მიცვალებულს გამოასვენებენ ქაშვეთის ეკლესიიდგან წირვის შემდეგ, კვირას, 5 იანვარს, დაკრძალვა მოხდება ვერაზე. წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში.

თამარა გიორგის ასული და ივანე ალექსანდრეს ძე ჯანდიერი შვილებით რძლით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავათმყოფობით გარდაიცვალა მათი საყვარელი პირველისა დისწული, მეორისა ცოლის დის შვილი და უკანასკნელისა მულის

**თამარა ფავლენიშვილი**

დაკრძალვა მოხდება დღეს, კვირას, 5 იანვარს ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. წირვა დაიწყება 9 ნახ. საათზე.
1—2005—2

## განცხადება.

ქართველ ვაჭარ-მრეწველთა შორის ფულის შემკრეფი მთავარი კომიტეტი ამით აცხადებს, რომ თბილისში ფულის შემკრეფ საუბნო კომისსიების წევრებათ არჩეულ არიან:

| | | |
|---|---|---|
| 1 | უბანში | ვ. ბერელაშვილი და კ. მესხიშვილი. |
| 2 | „ | ვ. ჯანელიძე და ს. ფორაქიშვილი. |
| 3 | „ | ი. სულხანიშვილი და ი. ალხანიშვილი. |
| 4 და 5 | „ | ი. გველესიანი და ი. კვიზერელი-კოპაძე. |
| 6, 7, 8 | „ | ი. მიქაძე, ა. სულხანიშვილი, მ. იანვრიშვილი და ვ. ზურაბიშვილი. |
| 9 | „ | ნ. ჭრელაშვილი და ად. ბერელაშვილი. |
| 10 | „ | დ. ლოლაძე, სპ. ბენდუქიძე და კ. კიკნაძე. |
| 11 და 12 | „ | ბ. დვალი, ზ. თოიძე და ვ. ხომახურიძე. |

1—91—1 **მთავარი კომიტეტი**

კვირას, 5 იანვარს 1919 წელს ქ. თბილისში მოხდება

## არჩევნები

**საქართვ. სავაჭრო-სამრეწველო პალატის წევრებისა**

არჩევნები მოხდება დილის 10—5 საათამდის ორ ადგილას: ფრეილინის ქუჩა № 11 (1, 2, 3, 4, 5, 6 უბნებისა და ბორჩ. მაზრა) და ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლში (7, 8, 9, 10, 11, 12 უბნებისა და თბილისის მაზრა). ამომრჩევლებმა თან უნდა იქონიონ 1918 წლის სავაჭრო მოწმობა, ხოლო არა ქართველებმა- საბუთები საქართველოს ქვეშევრდომობისა.
2—91—1

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია**

კვირას, 5 იანვარს, შუადღის 12 საათზე ქართულ კლუბში გაიმართება

## საჯარო კრება

**ომისა და ზავის შესახებ**

სიტყვებს წარმოსთქვამენ: სპირიდონ კედია, გიორგი გვაზავა, შალვა ამირეჯიბი, იოსებ მაჭავარიანი, პ. გოთუა და მიხეილ ხერხეულიძე.

## სახელმწიფო თეატრი

**საოპერო დასი ს. ი. ევლახოვისა**

სადღეისწულო რეპერტუარი.

დღეს, 5 იანვარს,

| დილით | საღამოთი |
|---|---|
| 1. ჯამბაზები<br>2. ქორწილი უკრაინაში. | ჰუგენოტები |

ოთხშაბათს, 8 იანვარს,

| დილით | საღამოთი |
|---|---|
| რუსალკა | რომეო და ჯულიეტა |

ხუთშაბათს, 9 იანვარს,

| დილით | საღამოთი |
|---|---|
| კარმენი | ჟიდოვკა |

შაბათს, 11 იანვარს, საღამოს

## ფაუსტი

დასაწყისი დილის წარმოდგენისა 12 ს., საღამოს წარმოდგ. 7 ს.

# დამოუკიდებლობის ცნობა

ლონდონიდან მოსულ ცნობის თანახმად ინგლისის მთავრობას უცვნია საქართველოს დამოუკიდებლობა. ეს ცნობა ჯერ კიდევ ოფიციალურად არ არის დადასტურებული, მაგრამ თავის თავად სრულიადაც მოულოდნელი არ არის. ინგლისში ყოველთვის ძლიერი იყო პატარა ერების პატივისცემა. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ინგლისის მთავრობამ და განათლებულმა საზოგადოებამ დიდი დახმარება გაუწია საბერძნეთის განთავისუფლებას: ბრიტანეთის ფლოტმა ენერგიული მონაწილეობა მიიღო ნავარინოს ბრძოლაში, სადაც ოსმალეთის საზღვაო ძლიერება განადგურდა, საბერძნეთის თავისუფლების იდეას შეეწირა უდიდესი ინგლისელი მგოსანი ლორდი ბაირონი.

შემდეგ ინგლისმა ფინანსიურად თუ მორალურად დიდი დახმარება გაუწია ბალკანეთის ერების განთავისუფლებას. უკანასკნელი აქტი ამ მხრივ იყო ალბანეთის დამოუკიდებლობის აღიარება. თავის ახალშენებშიც ინგლისი მუდამ ფართო თვითმართველობის მომხრე იყო. თუ სახეში არ მივიღებთ ირლანდიისა და ინდოეთის წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკას, რომელიც მუდამ ჩრდილს მიაყენებს დიდი ბრიტანეთის სახელს, ინგლისი თავის ახალშენებში მუდამ ადგილობრივი ძალების თვითგამორკვევისა და თვითმოქმედების მომხრე იყო. დიდათ ნიშანდობლივია, რომ ლორდ როზბერის ლიბერალურმა მთავრობამ ფართო ავტონომია მისცა ბურებს, რომელთა წინააღმდეგ ათიოდე წლის წინათ სოლისბიურისა და ჩემბერლენის იმპერიალისტური მთავრობა სასტიკ ომს აწარმოებდა.

ასეთმა ყოფაქცევამ ყოველგან ერთგვარი სიმპატია მოუპოვა დიდი ბრიტანეთის სახელს, ინგლისელების ენას, ზნე-ჩვეულებას და იდეებს და ერთ მწერალს ათქმევინა, რომ დედამიწა საშიხელი სისწრაფით ინგლისური ხდება. ჩვენ გადაჭარბებულად მიგვაჩნია ასეთი შეხედულება. განსაკუთრებით დიდი ომის შემდეგ, როცა სრულიად ახალი ეროვნული ძალები გამოაშკარავდა, შეუძლებლად მიგვაჩნია, რომ დიდი ბრიტანეთი ან თუნდა ძლიერი ანგლო-საქსონური რასსა მთელი ქვეყნის მამოძრავებელ ფაქტორად გადაიქცეს. ორმოცდა-თორმეტ მილიონ ინგლისელს არ შეუძლია მთელი დედამიწის დამორჩილება.

მაგრამ თუნდაც ინგლისის პოლიტიკური და ეკონომიური გავლენის სფერო მომავალში უფრო ვიწრო იქმნეს ვიდრე წარსულში იყო, თუ ლონდონიდან მოსული ცნობა დადასტურდა, მას მაინც დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენთვის. ჩვენი მამაცი ჯარის გამარჯვების შემდეგ ეს საუკეთესო საახალწლო საჩუქარია საქართველოსთვის.

ახლად განთავისუფლებულს, პატარა ქვეყანას ყოველთვის გაუჭირდება დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოწყობა, თუ ღონიერმა, კულტუროსანმა სახელმწიფოებმა დახმარება არ აღმოუჩინეს. ეს ჩვენ ვიცით თუნდაც ბალკანეთის ერების ისტორიიდან. ამიერიდან საქართველო საერთაშორისო ოჯახში სრულუფლებიან წევრად არის მიღებული და საფრთხე აღარ მოელის უცხოეთიდან. ამიერიდან ჩვენი ბედი ჩვენს შინაგან უნარსა და ძალაზეა დამოკიდებული.

იმავე ბალკანეთის, სახელდობ ალბანეთის მაგალითიდან ვიცით, რომ ეროვნული დამოუკიდებლობის გასამტკიცებლად მარტო საერთაშორისო ნებისყოფა არ კმარა: თუ თვით ხალხმა კულტურული შემოქმედება და პოლიტიკური ნიჭი არ გამოიჩინა ვერას უშველის დიდი სახელმწიფოების მიერ აღიარება. მაგრამ ქართველმა დემოკრატიამ დაამტკიცა კიდეც, რომ მას შეუძლია სახელმწიფოს მოწყობაც და მისი დაცვაც. ჩვენი ხომალდი გასცილდა შინაური ანარქიის სციღლასა და საგარეო კომბინაციების ხარიბდას და ამაყად მისცურავს მზიანი ნაპირებისაკენ.

# სომხის ხალხი და დაშნაკცუთუნი

თანახმად ერევნიდან მიღებულ ცნობისა, საქალაქო არჩევნები იქ დამთავრებულა და ხმები განაწილებულა შემდეგად: დაშნაკცაკანებმა 43 ადგილი მიიღეს, სომხის სახალხო პარტიამ—13, სოციალისტ-რევოლიუციონერებმა — 3, სოციალ-დემოკრატებმა—1.

ერევნის არჩევნები ზედმეტად ნათელჰყოფს იმ ფაქტს, რომ თითქმის მთელი სომხობა დაშნაკცუტიუნის პარტიას მისდევს და არც მოიპოვება მისი ნიშნები, რომ მის „ტყვეობიდან" მალე თავს დააღწევს, როგორც ზოგიერთი ბეცი პოლიტიკოსები წინასწარმეტყველებენ.

სხვებთან ერთად, შეიძლება, არც ჩვენ მოგვწონდეს დაშნაკცუტიუნის ჰიპერტროფიული გაბატონება სომხის ხალხში, მაგრამ ჩვენ ღრმადა ვართ დარწმუნებული, რომ „სომხის დემოკრატია" არამც თუ აუტანელ ტყვეობას არ განიცდის, პირიქით ნებაყოფლობით და, თუ გნებავთ, ხალისით მიჰყვება დაშნაკცუტიუნს და სავსებით იზიარებს მის პოლიტიკურსა და სოციალურ შეხედულებას.

ამ ომის დროს განსაზღვრულ წრეებიდან ერთს შეუფერებელ აზრს გამოსთქვამენ „სომხის დემოკრატიის" დამოკიდებლობაზე ომთან და ეგრედ წოდებულ „სამხედრო ლიგასთან,"რომლის აგრესიულ პოლიტიკას კაჩაზნუნის მთავრობა ოფიციალურად აწარმოებს: ქართველ ხალხს არწმუნებენ, რომ „სომხის დემოკრატია „ძმათა სისხლის ღვრაში ძალით ჩაიყოლია ავანტიურისტულ ჯგუფმა" და საჭიროა ამ მცირერიცხოვანი და უპასუხისმგებლო წრის მოლუნვა, რომ „სომხის დემოკრატიამ" მყისვე იარაღი დაჰყაროს და ძმურად ემბოროს „ქართველ დემოკრატიას". პარლამენტის ტრიბუნიდან ის აზრიც გამოითქვა, რომ საქართველოს რესპუბლიკის დასამხობად სომხეთიდან კონტრ-რევოლიუცია მოეშურება და საჭიროა სომხისა და ქართველ დემოკრატიის უაღრესი სიფხიზლე, რათა სათავეშივე ჩაიკლას მისი მამოძრავებელი ფაქტორი...

წარსულ დღეების მწარე გამოცდილებამ ქართველობას დაანახვა საქმის ნამდვილი ვითარება: სანაინის ღელეებიდან გადმოზღვავებული სომხობა მედგრად ევლეთა საქართველოს შეიარაღებულ დემოკრატიას და სათოფების მქადაგებელ მესვეურებს უჩვენა სომხის ხალხის და დაშნაკცუთიუნის იგივეობა.

უნდა გადაჭრით ითქვას, რომ დაშნაკცუთიუნი სომხეთის ნაციონალური პარტიაა, ისევე, როგორც სოციალ-დემოკრატია საქართველოში. ორივ გარემოება მეტად სამწუხაროა, მაგრამ ორივ ფაქტია და პოლიტიკაში ხომ [illegible] ლობა და მით უმეტეს დაყრდნობა.

ერთა სოლიდარობის დასამყარებლად ნიადაგი განსამზადებელია ამ ჟამადვე, მაგრამ არა ჯანსაღი ნაციონალური გრძნობის აღმოფხვრით და ილლიუზიების შექმნით! სინამდვილეს უნდა უშიშრად ვუცქერდეთ იმისდა მიუხედავად, მოგვწონს იგი, თუ არა... მთელი სომხეთი დაშნაკცუთიუნის სახით გვევლინება დღეს მრისხანებითა და ძალღონით აღსავსე და ქართველობას კი ჩასძახიან, რომ საქართველოს საზღვრებში უპასუხისმგებლო ბრბოები მოქმედებდნენო. როცა საკმაოდ დამტკიცდა მთელი სომხების სულისკვეთება და სარდალ ჰდროს ჯარის ქურდულად შემოსევის პირველ დღეებში ჩვენმა მცირე-რიცხოვანმა მოსაზღვრე ლაშქარმა „სომხის დემოკრატიის" აშიშვლებული მახვილის დაუნდობლობა იგემა, მაშინ თითქმის ყველა მიხვდა, რომ არარატის რესპუბლიკის ხალხს განუზრახავს სიკვდილ-სიცოცხლის ეროვნული ომი საქართველოს შესამუსრავად. ჩვენი ჯარის ზურგს უკან ბორჩალოს სომხობა მოღალატურად აჯანყდა და საგრძნობი ზარალი მიაყენა მას. დაშნაკცუტიუნის უმთავრეს ციტადელ შულავერში ქუდზე კაცი გამოვიდა სომხის სარდლის მოწოდებაზე და ერთი კვირის განმავლობაში თავდადებულად იცავდა დაშნაკცუტიუნის ავანპოსტს ბორჩალოში. უდავო დოკუმენტებით დამტკიცდა, რომ საქართველოს წინააღმდეგ იბრძოდენ ჩვენი სამშობლოს სხვა და სხვა კუთხის მცხოვრები სომხებიც, და ყველა ამის შემდეგ ვინ გაუბედავს ქართველ ხალხს იმის თქმას, რომ მის დასათრგუნავად სომხეთიდან კონტრ-რევოლიუცია მოდისო!

„სომხის დემოკრატიაზე" ლაპარაკით ყველას ყურები გამოუჭედეთ, მაგრამ რაში გამოიხატება სომხეთში ამ უხილავ დემოკრატიის მოქმედება, სად არის ეს დემოკრატია რეალურად,—არავინ უწყის, ამ ლეგენდის შემთხზავების გარდა!?

იმას კი შეურყევლად გვიმოწმებს ყოველი დღე რომ მთელი სომხეთი დაშნაკცუტიუნის პარტიისაგან მოელის ხსნას. სომხეთის ცხოვრების ყოველი მხარე—სახელმწიფოებრივი, მუნიციპალური, საზოგადოებრივი და ეკონომიურიც დაშნაკცუტიუნის ლოზუნგებს ემსახურება, მის ზრდასა და ენერგიაზეა აგებული და ამოძრავებული.

ერევნის საქალაქო არჩევნებით სომხის ხალხი ამოწმებს დაშნაკცუტიუნის „უნივერსალობას" და პირუთვნელ მეთვალყურისათვის შეუძლებლადა ჰხდის მობეზრებულ კითხვას: ვინ არიან სომხები,—სომხები, თუ დაშნაკცაკანები!?

**რ. ინგილო.**

# ომის შედეგები

საქართველო-სომხეთის ომმა მრავალი დაფარული გრძნობები და მისწრაფებანი გამოააშკარავა, როგორც ჩვენს მებრძოლ სფეროებში, ისე „ნეიტრალ" მხარეებში.

ჩვენ მუდამ გვჯეროდა, რომ დღევანდელი ომი ეროვნული ომია და რომ თვინიერ მისა არ შეიძლებოდა საქართველო-სომხეთის შორის გრძელი ხაზი გავლებულიყო. ამ ხაზის გავლება კი აუცილებელი იყო, რათა გაგვეგო, რა არის ქართველი, რანაირია მისი ეროვნული შეგნება, მორალური, ფიზიკური, გონებრივი და მატერიალური ძალები, საით მიისწრაფვის ის და შეუძლია თუ არა აღასრულოს თავისი მისწრაფებანი. უნდა გაგვეგო ამ ძალების რაოდენობა და ხარისხი მათი, ვინაიდან არ ვიცნობდით და არც გვიცდია მათი შეცნობა.

დღეს კი ჩვენ დავინახეთ, რომ ეროვნული შეგნება ქართველ ხალხში ღრმად გადგივებულა და ზნეობრივი, გონებრივი და ფიზიკური ძალებიც საკმარისი გვქონია გინდაც იმისათვის, რომ ვიგრძნოთ საფრთხე და საკუთარი თავი დავიცვათ.

ეს იხილეს ჩვენმა მტრებმა და მის ჩაკვლას ჩვენში შეეცადნენ. მათ საკმაოდ ჰქონიათ დახლართული დიპლომატიური ქსელები მსოფლიოში და მისი გამოყენების მომენტი დღეს დაუდგათ.

სომხებს ქართველი ერი ჰყავთ მიზანში ამოღებული და თუ დღემდე ამას ვერ მიჰხვდა ქართველების დიდი ნაწილი, თუ ქართველ ერში მილიტარული ენერგია სრულიად მიძინებული იყო, თუ ჩვენ მეტის მეტ მშვიდობიანობას ვიჩენდით, დღეს საბედნიეროდ ასე აღარ ჰხდება და არც მოხდება არასოდეს თუნდაც ევროპის დიდ სახელმწიფოთ ძლიერი ენერგია [illegible] თავის ჩამოსაგდებად, რომლისაკენაც მოგვიწოდებენ.

ქართველ ერმა, შეურყევლად უნდა სთქვას, ჯაჯურის უღელტეხილი, ლორე, ბამბაკი, მესხეთ-ჯავახეთი ჩემია და ვინც შეგვედავება მასთან დაუცხრომელს ომს ვაწარმოებთ" ეს უნდა გაიგონ სომხებმა, მთელმა მსოფლიომ, თუ რანაირია უმტკიცესი, გარდაწყვეტილება სრულიად საქართველოსი.

ამის გაგება მით უფრო საჭიროა ამერიკა-ევროპისათვის, რომ საქართველოდან უნდა დაიწყონ მოკავშირეებმა განხორციელება იმ უდიდესი გეგმისა, რომელიც მათ აღმოსავლეთის საკითხში შეუმუშავებიათ. მოკავშირეთათვის საქართველო ითამაშებს ამიერიდან ისეთ როლს აღმოსავლეთში, რანაირიც ჰქონდა დარდანელის სრუტეს ოსმალეთის ოკუპაციამდე.

და თუ ეს ასეა, მაშინ მათ უნდა მიიღონ ყოველგვარი ზომები, რათა საქართველოს სახელმწიფოებრივი ალმშენებლობა არ შეფერხდეს და წესიერება არ დაირღვეს აქ, რაც ყოვლად წარმოუდგენელი იქნება, სომხებს რომ ჩვენი ტერიტორიის თუნდაც ერთი მტკაველი მიწა ერგოთ. ასე ფიქრობს და მსჯელობს აქამომდე გაჩუმებული ქართველი ერი და ყველასათვის სასარგებლოა იცოდეს, რომ იგი იბრძოლებს უკანასკნელ შესაძლებლობამდე თვისი სახელმწიფოებრივ ტერიტორიის მთლიანობისთვის. ის ან გაიმარჯვებს ან სულ ამოსწყდება და ვერცერთ მეზობლის, თუნდაც ღირსეულისას, უღელს კი არ შეურიგდება.

ჩვენ ვხედავთ, რომ სომხეთთან საომრად ზურნითა და მღერით, უაღრესის აღფრთოვანებით წარმოუდგენელის სიხარულითა თავ დავუზოგავის სიმხნევით მიდის ქართველი ერი და ეხლა უნდა დაახრჩოს მან ჩვენ სიკვდილის მომლოდინე სომხის ერი იმ ბილიკის ტალღებში, რომელიც საუკუნოებით გროვდებოდა მის გულში და რომლის წამოწევას ასე ერიდებოდნენ როგორც ჩვენი პოლიტიკის ბელადნი ისე ქართველი ხალხიც.

ეს მორიდება დიდი პოლიტიკური წინდაუხედაობა იყო და ეხლა ჩვენ ვხედავთ, რომ ქართველი ერის მოთმინების ფიალა ავსებულია. იგი განრისხებულია მტერზე და თუ გვინდა, რომ ეს განრისხებული ენერგია არ დაიკარგოს და თვისავე თავზე არ დაიტეხოს, ჩვენმა ერმა, უნდა ვეცადოთ, რომ მტრებზე დავახარჯვინოთ მას. ეს მაღალ-მართალი რისხვა, ეს საუკეთესო მაჩვენებელი ჩვენი ეროვნული ენერგიისა. შეიძლება კვლავაც არ ადუღებულიყო ეს ენერგია ქართველ ერში, რომ დღევანდელი საბედისწერო ომი თვით სომხებს არ დაეწყოთ. მაგრამ დღეს ჩვენ უტყუარ ფაქტის წინაშე ვდგევართ. ქართველმა ერმა ვერ მოითმინა მტრების ის უსინდისო სურვილი, რომელსაც უნდა ჩაენელია მასში აღმოხეთქილი შემოქმედებითი დუღილი. იგი ეკვეთა მტერს და მიაყენა კიდეც მას ერთი ი'უთი მარცხი, რომელიც ბრწყინვალე მომენტად აღინიშნება ქართველების ეროვნულ ბრძოლის ისტორიაში. ეს გამარჯვება საკმარისად აჩვენებს მტერსაც, მოყვარესაც და „არა დაინტერესებულ" მხარეებსაც, რომ ქართველთა რასის სიკვდილზე ლაპარაკი ნაადრევია.

ეს გამარჯვება მიგვითითებს ჩვენ მომავალ გამარჯვებებისაკენ და უდიდეს დანაშაულს ქართველი ერისა და კავკასიის ყველა ერების წინაშე ჩაიდენს ის, ვინც მომავალ გამარჯვებათა გზებს ქართველ ხალხს დაუხშობს.

ნუ დავივიწყებთ რომ ეროვნულ მოძრაობამ არა მარტო ჩვენში, არამედ ყველგან თვისი განვითარების ეპოქის მიაღწია და სახიფათო გზაა ის გზა, რომელიც ამ მოვლენას არ გაუწევს ანგარიშს.

კერძოდ ჩვენ, ქართველებს ეხლა მოგვეცა საშუალება ავიღოთ იმის ნაზღაური, რაც დღემდე დაგვიკარგავს და თუ ეს ამ ომით არ ავიღეთ, მაშინ თუ მთელი საუკუნით არა რამოდენიმე ათეულ წლებით მაინც გადადებულად უნდა ჩავთვალოთ ქართველ-სომხთა უთანხმოების საკითხის გადაწყვეტა.

ამას ჰგრძნობს ჩვენი ერი და არ ზოგავს კითხვის დაუყონებლივ გადაწყვეტისათვის თავის ძალ-ღონეს. იგი გაშმაგებული იბრძვის და თუ მას ეს ბრძოლა ძალით შეაჩერებინეს და არ მისცეს მისი ლოღიკურად დასრულების საშუალება, მაშინ ყოველწუთს უნდა ველოდეთ ბაბილონის გოდოლის დამკვიდრებას ჩვენში, ამიტომ ვისთვისაც მართლაც ძვირფასია დამოუკიდებელი საქართველო და ვისაც ქართველი ერის სასიცოცხლო უნარი ჰსწამს, მისი ვალია დასთმოს პარტიულიც, პირადიც და ხელი შეუწყოს ქართველ ხალხს არა მარტო სტრატეგიული საზღვრების დაჭერაში, არამედ ეროვნულ ბრძოლაშიც, როგორც შიგნით, საქართველოში, ისე მის გარედ. სულაც არ ვეჭვობ, რომ დაწყებულ ბრძოლას ერი სასაცილოდ არ გახდის და დღეს თუ იგი აიძულეს ომი შეეწყვიტა, ხვალ მისი ხმა კვლავ ზარს გამოსცემს.

**ი. ხანანაშვილი**

# პრესსა

დროებით ზავის გამოცხადებამ თავისი შედეგი კიდეც მოიტანა. განსაკუთრებით დაიტყო პრესას. განსვენებულმა „ზნამია ნაროდამ" ისევ განაახლა თჳვისი მოღვაწეობა, რასაკვირველია, ახალის სახელით.

გადატრიალდა „ტიფლისკი ლისტოკიც". ხაჩატუროვის გაზეთი აბრეშუმივით მორბილებული, ალბათ იმიტომ, რომ სიცოცხლე შეენარჩუნებინა—ორი დღის წინედ ყველას საქართველოს მთავრობის პოლიტიკის დასაცავად მოუწოდებდა.

ეს იყო „წვლილი" რომელიც შეიტანეს ბ.ბ. დუბროვსკიმ და მისმა დამქაშებმა საქართველოს თავდაცვის საქმეში. ხაჩატუროვის მემკვიდრეებს ალბათ ჰგონიათ, რომ ომი უკვე გათავებულია და რადგანაც გათავებულია, საჭიროა ლიკვიდაციაც ომის უსიამოვნო შედეგებისა.

და ბ. დუბროვსკიც ახალ საქმეზე გადადის. თურმე საჭიროა ავაზაკ და დეგენერატ შმავილოვის სიკვდილისგან ხსნა. საჭიროა ეს, რათა დემოკრატიული პრინციპი შებღალული არ იყოს.

შეიძლება ხიდების აფეთქება—ეს დემოკრატიული საქმეა, მაგრამ შეუძლებელია ამფეთქებელის დასჯა, რადგანაც სიკვდილით დასჯა ეწინააღმდეგება დემოკრატიულ პრინციპს, რომელისთვის იბრძოდენ ბ. დუბროვსკები.

არ ვეხებით არსებითად იმას, სისრულეში უნდა იყოს მოყვანილი სასამართლოს განაჩენი თუ არა, რადგანაც, იგი მთლად მთავრობის პრეროგატივას შეადგენს, მაგრამ ჩვენ ერთი რამ უნდა აღვნიშნოთ.

ყველა ამ დუბროვსკებს და არა მარტო დუბროვსკებს, არამედ ყველა რუსებს, რომლებიც დღეს „მოღვაწეობენ" საქართველოში ერთი რასიული თვისება აქვთ, რომელიც ჯერ კიდევ ბობჩინსკის და დობჩინსკის ახასიათებდა, როგორც წმინდა წყლის რუსებს.

ყველაფერს წინ უნდა უყელონ. მაგალითად:

საქართველოს დამოუკიდებლობა მავნებელია თვით საქართველოსთვის და ყველაზე ადრე ამას რუსები ამბობენ.

საქართველოს მთავრობა უვარგისია, არა დემოკრატიული და არა სოციალისტური და ამასაც ყველაზე ადრე რუსული „სოციალ-დემოკრატი" ამბობს.

საქართველოს რესპუბლიკა უფრო რეაქციონურია ვიდრე ძველი მონარქიული რუსეთი და ამასაც იგივე რუსული „ნაშა ზნამია" ბრძანებს.

დასასრულ საჭიროა დამნაშავის სიკვდილისგან დახსნა, ესე იგი ერის უზენაეს უფლების გამოყენება სიკვდილზე და სიცოცხლეზე და ქართველი ერის ამ წმიდათა-წმიდა უფლებაზეც რუსული და ხაჩატურული „ტიფლისკი ლისტოკი" ლაპარაკობს.

ერთის სიტყვით, [illegible] და დობჩინსკის [illegible] ქართველ ხალხი მოკლებულია უფლებას პირველი სიტყვისას, უფლებას თავის ნაკლსა და ღირსებაზე ლაპარაკისა უფრო ობიექტიურად, უფრო გულწრფელად, ვიდრე ამას სჩადიან დუბროვსკები, სმირნოვები, სემიონოვები და სხვები.

რას ნიშნავს ეს? რა აზრი აქვს ასე წინ წარბენას, ქართველი ერის მაგივრად ლაპარაკს იმაზე თუ რა არგებს მას, ან რა აწყენს?

ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ საქართველოს მტრობისა და ინტრიგის გარდა, რომელიც ჩამარხულია მათ ასეთ საქმიანობაში, აქ იმალება ის არა ჯენტლემენობაც, რომელიც ყოველთვის ახასიათებდა რუსულ არამკითხეობას ყველგან და ყოველთვის.

გეყოთ ბატონებო! ქართველმა ხალხმა თითონ უკეთ იცის რა ავნებს მას და უფრო კიდევ უკეთ რა არგებს.

ჩვენი სურვილია ცოტა რამ ჩვენგანაც ისწავლოთ და წახვიდეთ სახლში თუ იქ რამის გაკეთება შეგიძლიათ.

# საქართველო-სომხეთის ომი

**ხაყურადღებო დოკუმენტები.**

ჩვენ ჯარს ბოლნის ხაჩინთან ბრძოლის დროს ხელთ ჩაუვარდა სომხეთის გაქცეულ შტაბის დოკუმენტები. საიდანაც სჩანს, რომ სომხის ჯარის სარდლობას ჯერ კიდევ 10 ღვინობისთვეს შეუმუშავებია საქართველოს წინააღმდეგ გამოლაშქრების გეგმა. პირველი ბრძანება ჯარისადმი 25 გიორგობისთვეს გაუცია. საბუთებიდან სჩანს თუ რამდენი კონტრიბუცია დაუდვიათ ადგილობრივ მცხოვრებთათვის ომის სასარგებლოდ. საბუთებზე თვითონ ჰდროსაც უწერია ხელი.

**ხრამის ხიდის აფეთქების განზრახვა.**

დროებით ზავის გამოცხადების შემდეგ ხრამის ხიდის აფეთქება მოინდომეს, რაც ჩვენმა დარაჯებმა შეამჩნიეს და შეიპყრეს ვინმე სივო პლიუსოვი, რომელმაც აღიარა, რომ ის სომხურ შტაბის დავალებით მოქმედებდა აღიარა ისიც, რომ ამისთვის ჯილდოთ აუღია რამოდენიმე ათასი მანათი. დატყვევებულს ნომრებიც აღმოაჩნდა.

**სადახლოში.**

ბრძოლის ველიდან ჩამოსულის სიტყვით, როდესაც ბრძოლის ველზე მშვიდობიანობა დამყარდა, ჩვენები სადახლოს იყვნენ გაცილებული. ჩვენებმა მზვერავები გაგზავნეს წინ და აღმოჩნდა რომ სომხების ნაწილები, სადახლოდან 12 ვერსზე იდგენ.

**ანდრანიკა ყარსის ოლქში.**

ანდრონიკას ბრბოებიდან ყარსის ოლქის გასაწმენდათ ადერბეიჯანის მთავრობამ მნიშვნელოვანი ძალები გაგზავნა.

## დეპეშები მთავრობის თავმჯდ. სახელზე.

**სურამის ქალაქის საბჭოსაგან.**

სურამის ქალაქის საბჭომ საგანგებო კრებაზე, მოისმინა რა საბჭოს თავმჯდომარის მოხსენება საქართველო სომხეთის შორის ატეხილი ომის შესახებ და მიიღო რა მხედველობაში, რომ 1) სომხეთის მთავრობას არავითარი ზნეობრივი არც იურიდიული საბუთი არ ჰქონდა ჯერ თავდასხმა მოეწყო საქართველოს საზღვრის დამცველ რაზმზე და შემდეგ ომი გამოეცხადებინა საქართველოსთვის, 2) რომ ეს ვერაგული თავდასხმა და მოძმეთა შორის დანთხეული სისხლი უფსკრულს სთხრის ორთავე ერის დემოკრატიათა შორის და 3) რომ ამ უბედურების მომწყობი არის როგორც გამოქვეყნებულ უტყუარ დოკუმენტებიდგან სჩანს, სომხის ერის ავანტიურისტიული მთავრობა და მისი წარმომშობი დაშნაკელების პარტია, დაადგინა: თვითმართველობა სასტიკ პროტესტს უცხადებს სომხის მთავრობას, ხოლო ჩვენი მთავრობისაგან მოითხოვს მედგარი და ულმობელი ბრძოლა აწარმოვოს როგორც ერევნის ვერაგული მთავრობის ისე მისი მომავლინებელი დაშნაკელების პარტიის მიმართ საქართველოში, რათა ამ პარტიის დამღუპველ მოღვაწეობას არ ჰქონდეს ადგილი ჩვენს რესპუბლიკაში. მთავრობას კი, რომელმაც ყოველივე საშუალება იხმარა ძმათა შორის სისხლის ღვრის ასაშორებლათ მაგრამ სამწუხაროთ ვერას გახდა, თვითმართველობა აღუთქვამს ყოველგვარ დახმარებას. ქალაქის საბჭოსთან დაარსდა მეომართა და მათი ოჯახების დამხმარე კომიტეტი. საბჭოს თავმჯდომარე **სარდიონ მამალაძე.**

**რაჭველ-სვან-ლეჩხუმთაგან.**

„თბილისში მცხოვრებ რაჭა-სვანლეჩხუმელ მუშების მრავალმა რიცხოვანმა კრებამ რომელიც შესდგა 26 ქრისტ., შეადგინა 200 კაცისაგან თბილისის დამცველი რაზმი და აგრეთვე ერთხმათ დაადგინა: მიესალმოთ საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას. კრებამ გისურვათ რომ სულ მალე დაგემარცხებინოთ საქართველოს საზღვრებში ვერაგულათ შემოჭრილი მტერი. ამასთანავე კრებამ ფიცი დასდო თქვენს წინაშე, რომ აქ იქნება თუ სხვაგან ჩვენი სამშობლოს დასაცავათ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ. კრების მინდობილობით კრების ხელმძღვანელი კომისია.

„ხობის რაიონის სოციალ-დემოკრატიული კონფერენცია ითვალისწინებს დღევანდელ მდგომარეობას, შექმნილს სომხის ავანტიურისტებისაგან, სცნობს მთავრობის ხაიჯების სამართლიანობას, და სალამს უძღვნის მამაც ჯარს, გვარდიას და მთავრობას. აღმოუჩენს ყოველგვარ დახმარებას მთავრობას. თავმჯდომარე ხორავა.

**თბილისი. 5 იანვარი.** მთავრობის თავმჯდომარეს სახელზე მიღებულია შემდეგი დეპეშა: სოჭიდან მთავრობის წარმომადგენელს მუხრან ხოჭოლავასა, გენ. გედევანიშვილის, ბრძოლაში გამობრძმედილი პარტიზანული რაზმის მთელის შემადგენლობისა, სახალხო გვარდიის ბატარეასა და დემოკრატიულ რესპუბლიკის მე-2 და მე-3 პოლკების ნაწილებთან ერთად მე მცირე საღილზე ვფასებ რა ყოველ სფეროში ჩვენი ხელმძღვანელების ღირსებას საქართველოს რესპუბლიკის მოწყობაში, მოგილოცავთ თქვენ ახალ წელს. მადლათ ვწევთ ჭიქას და ვსვამთ თქვენს, ყველა ჩვენი მინისტრების, მთელი მშრომელი მასის და ჩვენი რესპუბლიკის სადღეგრძელოს და ვისურვებთ იმ საფუძვლების გამტკიცებას, რომელსაც უნდა დაეყრდნოს საქართველოს რესპუბლიკა. ჩვენ ზღვის ნაპირის ფრონტის შვილნი თავს დავსდებთ თავისუფლების გასამტკიცებლათ და ეხლანდელი მთავრობის გასაძლიერებლად. გენერალი კონიაშვილი.

**ხაღციხე:** მე და ჯარი მადლობელი ვართ დიდი ყურადღებისთვის. მზათა ვართ სიცოცხლე შევსწიროთ ჩვენს ძვირფას სამშობლოს და მოხარული ვართ ვიყვეთ ღირსი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მადლობისა. გენერალი **მაყაშვილი.**

**ამაღლა-ხერალი:** მე და ჩემი ჯარი გულით და სულით მოგილოცავთ ახალ წელს. გენერალი **მაზნიაშვილი.**

**ეკატერინოფელდიდან.** ეკატერინოფელდის რაზმი, რომელმაც გუშინ ბრწყინვალეთ გაიმარჯვა ბოლნის ხაჩინთან, თავის მთავრობას და ხალხს ულოცავს ახალ წელს და იმედს გამოსთქვამს, რომ მომავალი წელი საბოლოოდ გამაგრებს რევოლიუციის ყველა მონაპოვართ და ჩვენ ქვეყანას მისცემს სანატრელ ზავს. ამასთან ერთად მთელი რაზმი, ეწორჩილება რა სავსებით თავის მთავრობას, მიუხედავად ამისა ფიქრობს, რომ უდროვო დროებითი ზავის ჩამოგდება მაშინ, როდესაც ჩვენი ჯარები მედგრად იმარჯვებს თავხედ და ბოროტ მტერზე. სახალხო გვარდიის საველე **შტაბი.**

# საქართველოს დამოუკიდებლობა

**საქართველოს მთავრობამ შემდეგი დეპეშა მიიღო.**

8 იანვარი. პოლკოვნიკ ჟურდანს. „გთხოვთ გადასცეთ საქართველოს პრემიერს ნ. ჟორდანიას შემდეგი ცნობა, რომელიც გადმოცემულია ტელეგრაფით ინგლისის სამხედრო მინისტრისაგან:

მივვიღეს სასურველად, დიდი იმედი გვაქვს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას საბოლოოდ იცნობენ და მომავალში ამას ფორმალურად დაადასტურებენ. ხმები რუსეთის გაერთიანების შესახებ საქართველოს არ შეეხება, ვინაიდან საბუთები საქართველოს დამოუკიდებლად აღიარებისათვის, არსებითად მისაღები არის.

# დროებით ზავის პირობები

31 ქრისტეშობისთვეს 24 საათზე მთავრობამ დაადგინა: ა) შეჩერებულ იქმნეს სამხედრო მოქმედება და ამ მომენტით განისაზღვროს დროებითი ზავის დასაწყისი; ბ) საქართველოს ჯარი შეჩერდეს იმ ხაზზე, რომელიც მას—დროებით ზავის ჩამოგდების დროს ეჭირა.

# გენ. ტომსონის გადაყენება.

ინგლისის მთავრობამ ბაქოს საგენერალ-გუბერნატოროს მოკავშირეთა ჯარების სარდალი გენ. ტომსონი გადააყენა. გენ. ტომსონის თანამდებობაზე ამიერ-კავკასიის სამივე რესპუბლიკათა ფარგლებში გენერალი მილნი დაინიშნა.

# ქრონიკა

◆ **რედაქციიდან.** შემთხვევითი მიზეზისა გამო, „საქართველოს“ მეორე ნომერში დაიბეჭდა [illegible] წერილი „ვერაგული აქტი“, რომელიც არ შეეფერება გაზეთის ტონს.

◆ **საქართველოს დამფუძნებელი ყრილობა.** პარლამენტმა დაადგინა, საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევა დააჩქარონ. ყრილობის მოწვევა განზრახულია 14 თებერვალს.

◆ **მილოცვა.** მეორე ტყვიის-მფრქვეველთა ერთეულის მეოთხე ფეხოსან პოლკის ოფიცრები და ჯარისკაცნი, ახალქალაქის თხრილებიდან ნაცნობებს და ნათესავებს ულოცავენ მომავალ შობას და ახალწელს.

◆ კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება კონცერტი რომლის შემოსავალი გადიდება ომში დახოცილ ქართველ ჯართა ოჯახების სასარგებლოდ. კონცერტში მონაწილეობენ: კონსერვატორიის დირექტორი ბ. ჩერეპნინი, პროფესორები, მომღერალი ბ. ზალისკი, ვიოლონჩელზე დამკვრელი ბ. ბუშიდა კონსერვატორიის მოწაფენი: ბაპკინისა, ბეჟანაშვილი, გოთუა, კაგაროვისა, კრუტიკოვი, კოლიშა, ლეჟავა, რატილი, ნიკოლაევისა ჭუმბურიძე, შმიდტი და სხვ.

◆ **სალიტერატურო დილა.** დღეს „განათლების“ საზოგადოების სამხატვრო სახელოსნო სკოლაში—ხარფუხი) სკოლის მოწაფეთა მიერ სალიტერატურო დილა გაიმართება. სკოლის დარბაზში გამოფენილი იქნება მოწაფეთა ნახელოვნები: ნაქსოვი, ნაქარგი და სხვა. შემოსავალი გადაიდება მეომართა სასარგებლოდ.

◆ **განცხადება.** სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტ-ქალთა ინტერპარტიული ბიუროს დროებითი გამგეობა თხოვს ყველას, ვისაც დაევალა აჭარელ ბავშებთან მეცადინეობა მობძანდნენ „ძმურ ნუგეშიში“ დირექტივების მისაღებად.

◆ **მილიციის უფროსის განცხადება.** თბილისის ქალაქის მილიციის უფროსი აცხადებს რომ სამხედრო ტყვეების გამო ის არავის იღებს. მოქალაქეთ სამხედრო ტყვეების შესახებ უნდა მიჰმართონ გენერალ-გუბერნატორს და მის კანცელარიას. სამხედრო ტყვეების დაპატიმრება გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, შინაგან სამინისტროსაგან არსებული საგანგებო რაზმი ახდენს.

◆ **საკრედიტო დაწესებულებათა ყრილობის** ბიურომ უკვე შეიმუშავა საქართველოს პასუხისმგებელ მოსამსახურეთა არტელის წესდების პროექტი, რომელიც ახლო-მომავალში წარედგინება სათანადო სამინისტროს დასამტკიცებლად; ეს არტელი დაექვემდებარება საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატას, რომელიც ორ-სამ დღეში დაიწყებს მუშაობას.

◆ **გერმანიის ჯარი.** გერმანიის გემი „ვარნა“ გერმანიის ჯარით ისევ ფოთშია. წასვლა შეუძლებელია, რადგანაც უკრაინაზე ვერ გაივლის.

◆ **სომხეთის პარლამენტის წევრის ჩამოსვლა.** გუშინ თბილისში ერევნიდან ჩამოვიდა სომხეთის პარლამენტის წევრი სტ. მამიკონიანცი.

◆ **სომეხ-მოხელეთა დათხოვნა.** საქართველოს რკინის გზის უფროსის განკარგულებით, სამსახურიდან ითხოვენ იმ სომეხ მოხელეებს, რომელნიც საქართველოს მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებაში არიან შემჩნეულნი.

◆ **რუს მოხელეთა წასვლა.** მიუხედავად იმისა, რომ რუს მოხელეებს ჯერ-ჯერობით ძალად არავინ ითხოვს ისინი მაინც თხოულობენ სამსახურიდან დათხოვნას. ტეხნიკულ განყოფილებაში. 7 თხოვნა შევიდა. 7-ვე სამსახურიდან დათხოვნას თხოულობენ.

◆ **ინგლისის ჯარის ჩამოსვლა.** გუშინ ბათომიდან თბილისში 2000 ინგლისელი ჯარისკაცი ჩამოვიდა.

◆ **ინლისის ჯარი ბათომში.** ბათომიდან სარწმუნო პირები გადმოგვცემენ, რომ ბათომის ოლქი ინგლისის ჯარს უჭირავს, სანამ ეს ოლქი საქართველოს გადაეცემოდეს.

◆ **ძარცვა.** 3 ქრისტეშობისთვეს ნიკოლოზის ქუჩაზე № 56 ღამბაროვის ბინიდან 6.000 მან. გაიტაცეს.

◆ **ლაზარეთების დათვალიერება.** 1 იანვარს მთავრობის თავმჯდომარემ დაათვალიერა ლაზარეთები. სადაც ბრძოლის ველზე დაჭრილნი არიან მოთავსებულნი, მთავრობის თავმჯდომარე კმაყოფილი დარჩა.

◆ **ქალაქის არჩევნებისათვის.** ქალაქის აღწერა, რომელიც სამი დღის განმავლობაში უნდა დამთავრებულიყო, ზოგიერთ საარჩევნო უბანში ჯერაც არ დამთავრებულა, რადგანაც აღმწერლები ძლიერ ნაკლებ იცნობენ აღწერის საქმეს.

◆ **ქართველი ტყვეები ოდესაში.** ოდესიდან საქართველოს ვიცე კონსული ა. მუჯირი მთავრობას აუწყებს, რომ იქ ამ დღეებში დიდძალ ქართველ ტყვეებმა მოიყარა თავი ფოთში გადმოსხმისათვის არავითარი მატერიალური საშუალება მათ არ მოეპოება. ა. მუჯირი სთხოვს მთავრობას საჭირო ფული სასწრაფოდ გაუგზავნოს.

◆ **ლტოლვილთა განყოფილების გაუქმება.** ქალაქის თვითმართველობასთან არსებული ლტოლვილთა განყოფილება მთავრობის დადგენილებით გააუქმეს.

შინაგან საქმეთა მინისტრს დაავალეს სომხეთის ლტოლვილნი, რომელნიც საქართველოს სხვა და სხვა ადგილას ბინადრობენ საქართველოს საზღვრებს გარეთ გადაასახლონ.

◆ **ყოფილ ბოლშევიკურ მოძრაობის შესახებ.** ქუთაისის გუბერნიის კომისარი ატყობინებს შინაგან საქმეთა მინისტრს ქუთაისის გუბერნიაში მომხდარ ბოლშევიკურ მოძრაობის დაწვრილებით ცნობებს, რომელშიც ნათქვამია: რომ გამოძიება დამთავრდა დამნაშავენი სამართალში მიეცითო.

# ადერბეიჯ. მთავრობა

ადერბეიჯანის მთავრობაში თავისუფალია 5 მინისტრის ადგილი: იუსტიციისა მზრუნველობისა, შრომისა, მიწად-მოქმედებისა და ჯანმრთელობისა. აქედან სამი ადგილი განზრახულია დაუთმონ სომხებს, 1-ც რუსებს. სომხებთან მოლაპარაკება გრძელდება.

# საქართველოს პარლამენტში

**3 იანვრის სხდომა**

**თავმჯდომარეობს ნ. ს. ჩხეიძე**

დღის წესრიგშია კანონპროექტი დამფუძნებელ კრების მოწვევის ვადის შემოკლებისა.

მომხსენებელი **ფირცხალაიშვილი** კრების მოწვევის დაჩქარებას უმთავ[illegible] მავალში უნდა შეიკრიბოს მსოფლიო სამშვიდობო კონფერენცია და საჭიროა საქართველოს თვითმყოფობა მთელმა ხალხმა ოფიციალურად დაადასტუროს და ეს აზრი წარუგზავნოს საერთაშორისო ტრიბუნალს.

დამფუძნებელ კრების მოწვევის ვადის შემცირების წინააღმდეგ გამოდიან: ერ.-დემოკრატები, სოც.-ფედერალისტები, დ. ნაც.-დემოკრატები, სომხები და მაჰმადიანები. მოწინააღმდეგენი აღნიშნავენ იმას, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას სახელმწიფონი დაიცავენ დამფუძნებელ კრების მოწვევის გარეშედაც, ხოლო უკეთუ ჩვენი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ რომელიმე სახელმწიფო გამოვა, ვერც დამფუძნებელი კრება გვიშველის. საქართველოს პარლამენტი სავსებით გამოხატავს ამ შემთხვევაში ხალხის ნებისყოფას და ახლო წარსულმა საკმაოდ დაამტკიცა მისი პოპულიარობა.

პარლამენტმა ხმის უმეტესობით დაადგინა დამფუძნებელი კრება მოწვეულ იქმნას დამფუძნებელ კრების მოსაწვევ კომისიის მიერ ნაჩვენებ ვადაზე.

სიტყვა ეძლევა საგარეო საქმეთა მინისტრს ე. გეგეჭკორს.

**საგარეო საქმეთა მინისტრი ევ. გეგეჭკორი**

მოქალაქენო! საქართველოს მთავრობის სახელმწიფოებრივი ენერგია ბოლო დროს მიმართული იყო ორ მოვლენაზე. აქ არ შეუდგები იმის დასაბუთებას თუ რამდენად შედიოდა ჩვენს მოწინააღმდეგეთა ანგარიშში ის, რომ ეს 2 მოვლენა ერთ და იგივე დროს მოხდა. მხოლოდ ფაქტი ის არის, რომ სომხეთის მთავრობამ ომი გამოგვიცხადა სწორედ ამ დროს. ერევნის მთავრობამ მაშინ აიღო ჩვენ წინააღმდეგ ხმალი, როცა აქ გარეშე ძალა შემოვიდა. და მთელი შინაარსი მთავრობის მუშაობისა ამ ორ მოვლენის გარშემო ტრიალებენ.

ომის წარმოება, მთელი ჩვენი სახელმწ. აპარატის ამუშავება ერთი მხრივ, მეორე მხრივ, გარეშე ძალთა ანგარიშის გაწევა და საჭირო ურთიერთობის დაჭერა.

ეს იყო მთავრობის უკანასკნელ მუშაობის საზრუნავი და მე დავალება მაქვს თქვენ წინაშე წარმოვადგინო თუ როგორ აწარმოებდა მთავრობა თავის მუშაობას, რა ხაზით მიდიოდა და რა შედეგს მიაღწია.

დავიწყებ მოკავშირე წარმომადგენლებთან ურთი ერთობის შესახებ. 26 მაისის აქტს ჩართული ჰქონდა უაღრესი პოლიტიკური მნიშვნელობა რომელიც საზღვრავდა წინასწარ ფორმას და შინაარს საქართველოს საგარეო პოლიტიკისას. ეს იყო საქართველოს ნეიტრალობა. დღემდე საქართველოს [illegible] ნად, რამდენადაც [illegible] მოკავშირეთა წარმომადგენლები მის შემდეგაც, როცა გამარჯვება გერმანიის კოალიციაზე ბედმა მათ არგუნა საქართველოს მთავრობას შეუძლია თამამად სთქვას, რომ—საქართველოს მთავრობა და სხვა და ჩვენს მოკავშირეს და ჩვენი მათდამი მიმართვა იყო ასეთი—აი ჩვენი ნეიტრალობა. ვერც ერთი ფაქტით ვერ დაამტკიცებთ რომ ნეიტრალიტეტი დავვერღვიოს და მოკავშირეთა წინააღმდეგ იარაღი აღვვემართა. თქვენ დღეს მობრძანდით აქ. კეთილ იყოს თქვენი მობრძანება. საქართველოს მთავრობა აცხადებს, რომ მას ჰსურს კეთილგანწყობილება მოკავშირეებთან იგი საქმითაც დაამტკიცებს ამას. თქვენი საერთო მანდატი როგორც ამას აცხადებთ, ასეთი, თქვენ უნდა დაამყაროთ ამიერ-კავკასიაში საზოგადოდ, კერძოდ საქართველოში წესი,—ჩვენ უნდა ვაღიაროთ, საქართველომ თვისი საკუთარ ძალებით შესძლო წესრიგის დამყარება და სისხლის წვიმების დროს მან შესძლო სახელმწიფოებრივ აპარატის შექმნა. უნდა გაუწიოთ ანგარიში იმას, რომ საქართველომ, ერთადერთმა შეინარჩუნა სახე და მთელი ძალღონე გადასდო საერთო კულტურის დასაცავად. ეს ამოცანა მან პირნათლად შეასრულა. ჩვენ ანგარიშს ვუწევთ თქვენს განცხადებას, როდესაც ბრძანებთ, რომ თქვენი გეგმა, თქვენი პერსპექტივა სცილდება საქართველოს საზღვრებს, ჩვენ ანგარიშს ვუწევთ იმასაც, რომ ამ გეგმის განხორციელება. თქვენთვის საჭიროც არის, რომ გამოიყენოთ აქ არსებული აპარატი. მაგრამ ამასთანავე საქართველოს მთავრობა აცხადებს, რომ ყოველივე ამას გადასცემს თქვენს სასარგებლოდ ერთ პირობით, რომ ეს უნდა მოხდეს ჩვენი ნებისყოფით და ჩვენთან შეთანხმებით. ჩვენ ვართ დამოუკიდებელი საქართველო თქვენთვის უცნობი და არა ცნობილი, მაგრამ ჩვენ თვითონ ვიცნობთ ჩვენ თავს, და ეს მარტო დეკლარაცია კი არ არის, ეს მხოლოდ ფაქტია რომელიც თქვენ წინაშეა.

— ეს ფაქტი, რომ არსებობს საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, აქ არ შეუდგებით მასზე ლაპარაკს, თუ რა პირობებში გვიხდებოდა მოლაპარაკება მოკავშირეებთან და ან რა ცუდი წარმოდგენა ჰქონდათ ჩვენზე, მხოლოდ ერთ გარემოებას ხაზს უსვამ. რომ არავითარი წარმოდგენა ჩვენზე არ ჰქონიათ და არც დიდ ყურადღებას გვაქცევდნენ. მოკავშირეთა წარმომდგენლების წარმოდგენა აგებული იყო ჭორებზე, რომელიც დიდათ ვრცელდებოდა. ჩვენ გვაქვს ფაქტები, რომელიც ვერავითარ ხელით, ჩვენი ისტორიიდან ვერ ამოიშლება. სხვათა შორის ერთი რამ—როდესაც ისინი ჩვენ გვთვლიდნენ მოწინაამდეგეთ მოკავშირეთ entent-ისა ჩვენ გვაქვს ასეთი ფაქტი. მაშინ როდესაც გერმანიის კოალიცია იმარჯვებდა და მრავალი იყო დარწმუნებული მის გამარჯვებაში და მიუხედავად ბრესტის და სათათრეთის კონფერენციაზე მიწვევისა და ბევრი დაპირებისა—აი, სწორედ ამ მმართველ წრეებმა არ ინებეს ბრესტის კონფერენციაზე წარმომადგენლების წარგზავნისა და ამით მთელ კაცობრიობას მისცეს უტყუარი საბუთი იმისა, რომ საქართველო და მისი მმართველი წრეები სწორედ იდგნენ იმ ხაზზე, რომელზედაც ჩვენ დღეს ვდგევართ.

ჩვენში ზოგიერთნი სცდილობენ ეს, მომენტი სხვანაირად გააშუქონ. ერთი ფაქტი რჩება შეურყეველი, რომ ბრესტის ხელშეკრულებას ბრძოლით უპასუხეს.

(შემდეგი იქნება)

# დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო)

**გერმანული პრესა. 1 იანვარი**

**ვურმის განცხადება.**

ნაციონალურ სასურსათო უწყების სტატს-სეკრეტარმა ვურმა განაცხადა, რომ ის სრულიად ემხრობა სამ დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატს რომლებიც ნაციონალურ მთავრობიდან გამოვიდნენ და თავისი თანამდებობა მთავრობის განკარგულებაში დასტოვეს. ნაციონალური მთავრობის მოთხოვნით, ის მზათ არის განაგრძოს თავისი მოვალეობის ასრულება, სანამ მის მოადგილეს არ დანიშნავენ

**ნოსკეს საუბარი.**

სახალხო კომისარმა ნოსკემ, რომელმაც სამხარ საკითხების შემუშავება თავის თავზე მიიღო, საუბარი ჰქონდა [illegible] წარმომადგენელთან დაქირავებულ მილიციის დარაზმის შესახებ, რესპუბლიკის მთავარი ჯარი შესდგება მოხალისეთაგან, 25 წლის ჯანმრთელ გაზრდილი და იარაღის ხმარების მცოდნე ახალგაზრდებისაგან, რომლებიც თავის უფროსებს თვით აირჩევენ. მილიცია მხოლოდ სახალხო კომისართა საბჭოს დაემორჩილება. სახალხო კომისიაც ნოსკეს მიაჩნია აუცილებლათ საიმედო ძალის შექმნა აღმოსავლეთიდან მოსალოდნელ საფრთხის ასაცილებლად. მომავალ სამშვიდობო არმიის რაოდენობა, სთქვა ნოსკემ. დადგენილ იქნება სამშვიდობო კონგრესის მიერ. ნაციონალურმა მთავრობამ გადასწყვიტა განსაზღვროს შეიარაღებულთა რიცხვი იმდენათ რამდენათ ამას გულისხმობს ევროპის ყველა სახელმწიფოთა გაიარაღება როდესაც მოხდება. ნოსკე აღმოსავლეთში მომხდარ ამბებს შეეხო. მან სთქვა, რომ ნაციონალური მთავრობა გულგრილათ ვერ შეხვდა. პოლონელების მიერ გერმანიის ტერიტორიაზე მტრულ მოქმედებას. ახლო მომავალში ისინი იგრძნობენ იქ მტკიცე ძალას მთავრობის და მის ურყევ გადაწყვეტილებას.

**ფრანგული პრესა**

**რესპუბლიკის პრეზიდენტის ინტერვიუ.**

პრეზიდენტმა პუანკარემ ინტერვიუს დროს გაზეთი „დეილი ქრონიკლ“-ის პარიზელ კორესპონდენტს განუცხადა: მომავალ ზავის გამო ჩვენ ვიწყებთ მნიშვნელოვან თათბირებს, რომლის ბედნიერ დასასრულსაც მე ახლავე ვგრძნობ ჩვენი ორივე ერი სრულიად შეთანხმებულია ვილსონის 14 პუნქტში. ჩვენ მხოლოდ გვსურდა განთავისუფლებულვიყავით ზღვათა“ თავისუფლებიდან“, მე მწამს, რომ ლოიდ ჯორჯი და კლემანსო, რომელნიც ერთმანეთს კარგათ იცნობენ და აფასებენ და რომელნიც ასე შეთანხმებით მუშაობენ, სავსებით შეთანხმდებიან ყველა მნიშვნელოვან საკითხებში ჩვენ ბეჯითად უნდა ვადევნოთ თვალ ყური გერმანელებს: მათ მიერ მოხდენილი განადგურება საშინელია, და მრავალი წელი დასჭირდება ამ უბედურეობის გამოსწორებას. გერმანელებმა ეს ზარალი უნდა აანაზღაურონ არა მარტო ფულით, არამედ ნატურითაც. „დეილი ქრონიკულ“-ის კორესპონდენტმა კითხა პუანკარეს, ეშინია თუ არა მას საფრანგეთში ბოლშევიზმის შეჭრის. არა, ღიმილით სთქვა პრეზიდენტმა, ბოლშევიზმი არის მიკრობი, რომელიც მხოლოდ დამარცხებულ ერებს ედება.

**მუნიც. კომისიის პროკლამაცია.**

მუნიციპალურმა კომისიამ რომელიც მიულჰაუზში შესდგა ქალაქის საქმეების გასაძღოლად ბ-ნ ვოლფის თავმჯდომარეობით, გამოსცა შემდეგი პროკლამაცია: „ფრანგული რეჟიმის პირობებში ჩვენ პირველად შევიკრიბენით. არ დაგვავიწყდება, რომ ჩვენს პირველ სამშობლოს (საფრანგეთს) დიდი მადლობა უნდა მიუძღვნათ იმ ზეკაცურ ცდისთვის, რომელითაც მან გაგვანთავისუფლა საზარელ მონობისაგან. დღეს ისევ შევფიცოთ საფრანგეთს საუკუნო ერთგულება. ამას გარდა ჩვენ დიდი მადლობა უნდა მიუძღვნათ საფრანგეთის დიდებულ მოკავშირეთ დავიხსენათ საფრანგეთის ის ძვირფასი მეომარნი, რომლებიც 4 წლის განმავლობაში ჩვენთვის იბრძოდენ და ათასგვარ გაჭირვებას იტანდენ. ჩვენი პირველი კრების აღსანიშნავათ, ჩვენ დეპეშით უნდა ვაცნობოთ მთავრობას.

# ლტოლვილნი მესხეთში

ბოლო ხანში მესხეთის და ჯავახეთის ლტოლვილებმა დაიწყეს დაბრუნება თავის მიწა-წყალზე. ლტოლვილობა უფრო ახალციხეზე მოდიოდა. ახალციხეში შესდგა კომიტეტები, როგორც ქართველებისა, აგრეთვე სომხებისა, რომელთა მიზანი იყო დახმარება აღმოეჩინათ. სომხებს დახმარებას უწევდა სომეხთა ეროვნული საბჭო. რაც შეეხება ქართველებს, ისინი იყვნენ სახსარსა მოკლებულნი; მხოლოდ იმ მოლოდინში, რომ საქართველოს მთავრობას ჰყავდა დანიშნული რწმუნებული, რომელიც უნდა ჩამოსულიყო ახალციხეში და მოეწესრიგებინა ლტოლვილთა საკითხი. ამიტომ დროებითი კომიტეტი შეუდგა მუშაობას და რითაც შეეძლო უჩენდა ქართველთა ლტოლვილებს დახმარებას. დიდი ხნის ლოდინის შემდეგ ჩამოვიდა ახალციხეში შინაგანთა საქმის სამინისტროს რწმუნებული ბ. ა. ლორთქიფანიძე, რომელმაც მაშინვე დანიშნა კრება. კრებას დაესწრნენ მთავ[illegible] ბული ახალციხის და ახალქალაქის მაზრებისა. კრებას მოჰხსენდა ქართველ ლტოლვილების მდგომარეობა. განადგურებულნი ლტოლვილნი მოისპობიან თუ საჩქაროდ არ აღმოუჩინა დახმარება. საჭიროა შემდეგი: დახმარება ადგილებზე სურსათით აღდგენა მინგრეულ სახლების და თბილი ტანისამოსის მიშველება. როგორც კრებაზე გამოირკვა, დასჭირდება ყველა ლტოლვილებს მთავრობისგან არა ნაკლებ ორი-სამი მილიონი.

საჩქაროა, ჩვენმა მთავრობამ რაც შეიძლება მალე მოაშველოს დახმარება. როგორც კრებაზე გამოირკვა, ქართველნი მაჰმადიანები თანაგრძნობით უხვდებიან ქართველ ლტოლვილებსა, რის დასამტკიცებელიც არის საბუთი: ქართველ მაჰმადიანმა ბაღჩიბეგ მაჩაბელმა, რომელსაც როგორც ვიცით დიდი დახმარება აღმოეჩინა არტაანის ქართველ ლტოლვილებისათვის, როდესაც ისინი გამოქცეულან არტაანიდან, და დღესაც იგივე მაჩაბელმა თავის მხრივ შემოსწირა ქართველ ლტოლვილებისთვის 300 ფუთი ფქვილი, და გარდა იმისა ის დაჰპირდა კომიტეტს რომ ის დაივლის მთელ მაზრას და ზომებს მიიღებს რათა ყველა ქართველ მაჰმადიანმა დახმარება აღმოუჩინოს.

**დრ. მესხელი**

# ახალი წლის მიგებება

რამდენიმე სახლობამ განვიზრახეთ ერთად მივგებებოდით არა ჩვეულებრივ გარემოებებში მომავალ ახალს 1919 წელს. უნდა მივგებებოდით სრულიად დამოუკიდებელ და თავისუფალ საქართველოში პირველ ახალ წელს, რომელსაც თან მოჰქონდა ჩვენთვის შეურყეველი იმედი ბრწყინვალე გამარჯვებისა ვერაგ მტრებზედ. და განა ამაზედ უძვირფასესი და უტკბესი განცდა სამშობლოს მოსიყვარულე გულისათვის იქნება კიდევ სხვა რამე?

რამდენადაც არა უხვი და სადა იყო სუფრა, იმდენად დიდი იყო სუხარული და აღფრთოვანება სუფრაზე და აღფრთოვანებითაც წარმოითქვა: პირველი სადღეგრძელო ყველაზედ ახალგაზრდა თავისუფალ საქართველოს რესპუბლიკისა; მეორე—მისი აწინდელი მთავრობისა და განსაკუთრებით ბ. ნ. ჟორდანიასი, რომელსაც გულის ფანცქალით შეჰყურებს მთელი გაერთიანებული საქართველო [illegible] ლის მისგან, რომ შე[illegible] ძნობინე ფრიად საშიშარს ვერაგ მტერს საქართველოს ძალა და დიდება, და მესამე სადღეგრძელო— საქართველოს რესპუბლიკის ძლევა-მოსილ ჯარისა და სახალხო გვარდიისა.

ამ უკანასკნელ სადღეგრძელოს წარმოთქმის დროს დამსწრეთა შორის სურვილით შეიკრიფა რესპუბლიკის თავდაცვის ფონდისთვის 625 მანეთი, რომელსაც ვარდგენ ამასთანავე და ვთხოვ რედაქციას გადასცეს სადაც ჯერ-არს.

**მელანია.**

# ახალ წელს

ცეცხლის ფრქვევით გეგებებით
ცეცხლის ალში გახვეული;
სულით ისევ ძლიერი ვართ,
არც გული გვაქვს დახეული.
სანამდისინ ცოცხლები ვართ
შეგვიძლიან მედგრად ბრძოლა,
ჩვენ უკლმა როდი ვიცით
ხმლის ქნევა და ქვების სროლა.
მტერთანაც გულ ახდილი ვართ
აშკარა და პირდაპირი:
მის კალთას არ დავიფარებთ
რაც გინდ გვიდგეს გასაჭირი.
არა გჯერა? მაშ გახედე
ბრძოლის ველზე გმირთა გულებს,
სულ წინიდან დაისრულებს,
სულ წინიდან დაკაწრულებს.
მართალია ბევრის დედა
მწარე ცრემლად დაიღვარა,
მათ გმირულმა თავდადებამ
მამული კი გაახარა.
ასე იყო წარსულშიაც,
აწმყოშიაც ასე არი,
მტერს პირდაპირ ეგებება
სიმართლისთვის მეომარი...
და შენც ცეცხლად მოგედებით
დაგსვამთ ცეცხლის ზედადგარზე,
არც ჩვენს სახლში შემოგიშვებთ
არც გაგიშვებთ სხვათა კარზე.
ჩვენის ხელით ჩაგაქვავებთ,
დაგკლავთ ძმათა საფლავებზე
ცხარე ცრემლით აგატირებთ
მათის სისხლით მორწყულ ქვებზე.
თუ შენ მაინც არ გასწმინდე
რასაც უდის მყრალი სუნი,
ვინც გამხდარა შინ და გარედ
ორგული და მაიმუნი.
ვინც სხვის ხელით გლეჯავს ეკალს,
ვინც სხვის ხელით ისვრის დარებს
და არაფრით აღარ შველის
მათ წყლულსა და მათ იარებს...
ჩვენს გულზე კი მოხვეული
რკალისავით ცივი გველი,
ჩვენვე უნდა მოვიშოროთ
აქ არ გვინდა სხვისი ხელი.
ისე უნდა მოვიშოროთ
ისე უნდა მოვიცილოთ,
რომ გავხადოთ მთელი ქვეყნის
მასხარა და სასაცილოთ.
დავივიწყოთ ჩუმი ბრძოლა
დავივიწყოთ ჩუმი კბენა
და გულშივე ჩაუბრუნოდ
შხამიანი, მწარე ენა.
მისი თესლი, მისი გესლი
გარედ არსად ბოგინობდეს,
სადაც გაჩნდეს, იქვე დიწვეს
და იქავე ლოგინობდეს.

**შიო მღვიმელი.**

# დალოცვა

**ხევსურების მოხალისეთა ლაშქრი სიონის ტაძარში ხუთშაბათს, ორს იანვარს**

სალამი თქვენდა და ლოცვა-კურთხევა, ჩემო სულიერო შვილებო, სალკლდესავით მტკიცენო და გულგაუტეხელნო ძვირფასნო ხევსურნო!

ას წელზე მეტია, რაც თქვენი მამა-პაპები, მეფე ერეკლეს მოწოდებით, არწივებივით ჩამოფრინდნენ ხევსურეთიდან ჩვენს დედა-ქალაქ თბილისში კრწანისზე აღა-მაჰმედ-ხანთან შესაბრძოლებლად და სწორედ აქ, ამ ტაძარში, ვიდრე ბრძოლას დაიწყებდნენ, გულმხურვალედ შესთხოვდნენ ღმერთს მტრის დამხობა-დამარცხებას.

მართალია, ხსენებული მამულიშვილები სულ დაიხოცნენ ბრძოლის ველზე, ერთიც არ გამოსულა მათგანი ცოცხალი კრწანისის ომის ცეცხლიდან, მაგრამ სამაგიეროდ ქვეყანას უებრო გმირობის მაგალითი უჩვენეს, გამარჯვებული მტერიც კი აღარაფრად აფასებდა თავის გამარჯვებას, ისიც გაშტერებული დარჩა ამ საზღაპრო და თვალით უნახავ ვეფხვთა ლომგმირობით.

ძმებო! ეს იყო 123 წლის წინედ. მასუკან საქართველოს მზე ჩაესვენა. ერეკლე მეფემ სამარეში ჩაიყოლა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა. წელში გატეხილ საქართველოს ბატონ - პატრონებად შეიქმნენ რუსები, რომელთა მოხელეები არ სჯერდებოდნენ იმას, რომ ხელიდან გვაცლიდნენ მამა-პაპათა სისხლით შეძენილ მიწა-წყალს, გვიკრძალავდნენ სამშობლო ენაზე სწავლა-განათლებას და მართმსაჯულებას, გვიზღუდავდნენ

მოქალაქობრივ უფლებებს, ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდნენ, რო შეეზიზღებინათ ჩვენთვის სამშობლო ენა, ხელი აგველო ჩვენს სალოცავებზე შეგვეგინებინა და დაგვეგმო ჩვენი წინაპრების საფლავები. მაგრამ ვერას გახდნენ უგუნური მართველობის მოხელეები. კრწანისის ომის შემდეგ ხევსურებმა თითქოს კარი ჩაიკეტეს, ურთიერთობა შეწყვიტესო ბართან იმ ჟამამდე სანამ, საქართველო არ გაიწმინდებოდა უცხოელთა ბატონობისაგან...

დღეს, როდესაც რევოლუციის ქარიშხალმა გაფანტა და მტვრად აქცია ჩვენში რუსთა გამგეობა, როდესაც საქართველოს შვილებმა ისევ ჩაისუნთქეს სანეტარო თავისუფლების სულისჩამდგმელი ჰაერი, როდესაც ივერიას ამაყად დაჰფრიალებს დამოუკიდებლობის დროშა და ამ ფას დაუდებელი სიკეთის ხელიდან გამოსატაცებლად ბრძოლა გამოუცხადებიათ ჩვენთვის ვერაგ და უმადურ სომხებს, თითქოს საფლავებიდან წამოდგნენ კრწანისზე დახოცილი ხევსურები, თითქოს უკანასკნელები მოუწოდებენ მთებიდან თავიანთ შვილებს სამშობლოს დასაცავად სომხების ვერაგობიდან და აი, ჩვენ წინ მდგომი ლაშქარიც მამების ძახილზე შავარდენივით ჩამოფრენილა დედა სიონში, რომ ალიჭურვოს ღვთის მადლით და მერე რისხვად მოევლინოს საყვარელი სამშობლოს მტრებს!

საუცხოვო სანახაობაა! ბედნიერი მოწმეები ვართ ისტორიის გამეორებისა. თვალწინ მდგომი სურათი ეჭვს გარეშე ჰყოფს, რომ ამ ასი წლის წინეთ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის გაწყვეტილი ძაფის წვერი თავის თავად გადება ქართველი ერისაგან სულ ახლად შეძენილ დამოუკიდებლობას და კრწანისის ველზე დახოცილი ხევსურების სული გალოცხლებულია დღეს მათ შვილებში, ამ მშვენებით სავსე ლაშქარში!

რა დარიგება მოგცეთ, რითი დაუმოძღვროთ და რა დავავალოთ, საყვარელო ძმებო?

გული გაგიმაგროთ? გაგამხნეოთ? ვაჟკაც-მამულიშვილობის ცეცხლი გაგიღვივოთ?

არა! კლდესა და ფოლადს გამაგრება არა სჭირდება, თვითოეული თქვენგანი განხორციელებაა მხნეობა ვაჟკაცობისა, ყველას თოდეულს გაქვთ მამულიშვილობის გაუხელებელი ცეცხლი.

მე ახლავე ნათლად მეხატება თვალ წინ სურათი იმ მხდალი სომხებისა, რომლებსაც ერთი თქვენი დანახვა კურდღლებივით დააფთხობს და თავზარ დაცემულებს ძვირფას საფრებად გაუხდის ჩიოგვებსა და სოროებს.

მტკიცედ მტკიცეა, რომ თქვენ გაიმარჯვებთ, ზაოს დასცემთ და წელში გასწყვეტავთ უგნურ მტერს. ამისი სხვაფრივ წარმოდგენა ისევე დაუჯერებელია, როგორც თქვენი არაგვის შატილისაკენ მობრუნება.

თავმოწონე ვაჟებო! მე მხოლოდ ერთსა გთხოვთ და გევედრებით: შერცხვენით შეარცხვინეთ, დასჯით დასაჯეთ, კარგად აგრძნობინეთ და გააგებინეთ კიდეც თქვენი ვინაობა უმადურ და გაუტანელ სომხებს, მაგრამ შებრალებაც იქონიეთ მათი, როგორც დიაცებისა და მთლად მეხად ნუ დაატეხავთ მათ თავებზე თქვენს საშართლიან რისხვას და გულის წყრომას. ქართველი იმითი ყოფილა და იმითია სახელოვანი, რომ მას არ სცოდნია და არც იცის წაქცეულ-დამარცხებულის დაჭიხვლა.

მაშ, ღმერთი იყოს თქვენი წინამძღოლ—ხელის აპყრობი. ყ-დ წ-და ღვთისმშობელი გფარვიდეთ თავისი დედობრივი კალთით. ლაშარი, თამარი, ხახმატი, გუდანი, კარატი და ყველა თქვენი სალოცავები ჩაჩქნად და ფარად გექმნენ განსაცდელის დროს და დიდი და პატარა უვნებლად დაგაბრუნოთ თქვენს კერა-ოჯახებში.

მიიღეთ ჩემგან სულიერ სახსოვრად ეს წ-და გიორგის ხატი და თქვენი სასოება დიდებული გიორგი გიცავდეთ ყველას შინ და გარეთ!

გაუმარჯოს თქვენს მკლავს და დროშას! ამინ.

თბილელი მიტროპოლიტი

**ლეონიდი.**

## „დაშნაკცუტიუნის“ პარტიის პროვოკაცია

ქ. ბაქოში ბოლო დროს გამოდის „დაშნაკცუტიუნის“ პარტიის ორგანო „ვპერიოდ“.

ეს გაზეთი მუდამ სავსეა ისეთი ტენდეციური ცნობებით რომელიც აშწვავებს ეროვნულ შუღლს და სახელს უტეხს ადერბეიჯანის სახელმწიფო წყობილებას. ასეთ ხანაში, როცა კავკასიის ყველა ერები შეთანხმებას ცდილობენ და ჰსურთ მშვიდობიან ცხოვრებას მოეკიდლნენ „დაშნაკცუტიუნის“ პარტიის ასეთი გამოსვლა ვერაგული და შეუფერებელია.

ჩვენ მივაქცევთ საზოგადოების ყურადღებას გაზეთ „ვპერიოდ“-ის ახალ პროკლამაციას და საერთო ინტერესების და კეთილ განწყობილების სახელით მოვითხოვთ სამართალში იქმნენ მიცემული ამ გაზეთის პასუხისმგებელი ხელმძღვანელნი, რომელნიც ერთა შორის მტრობას და შურის თესვას და ადერბეიჯანის სახელმწიფო არსებულ პოლიტიკურ წყობილების ნდობის გატეხას ემსახურებიან“.

(„აზ“.)

## მიმართვა

**საქართველოს დემოკრატიულ დაწესებულებათა ყრილობისა პარლამენტისადმი**

საქართველოს რესპუბლიკის სრულიად დემოკრატიულ ძალებმა, განურჩევლად ეროვნებისა, გაიგეს თუ არა ომის ამბავი, გადასწყვიტეს ყრილობის მოწვევა, რათა შეერთებულ კრებაზე გამოსთქვან თავისი აზრი თანამედროვე პოლიტიკურ მომენტზე და დასდონ ღირსეული მსჯავრი მათ, ვინც ძმათა შორის საბედისწერო ომი გამოიწვია.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ქალაქთა, ერობათა, კოოპერატივების, პროფესიონალურ კავშირების და რკინის გზების შეერთებულმა ყრილობამ იქონია მსჯელობა ამ საგნის შესახებ და გამოსთქვა უზომო აღშფოთება ერევნის დაშნაკცუტიუნის მთავრობის მიმართ, რომელმაც თავს მოახვია ომი საქართველოს და სომხეთის ხალხს და იარაღის ძალით გასწყვიტა მათ შორის არსებული მრავალ საუკუნოებრივი კეთილ-მეზობლური განწყობილება. საქართველოს პარლამენტმა უკვე 26 მაისს—დღიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა—საქვეყნოდ აღიარა მუდმივი ნეიტრალიტეტი, რომელიც საფუძვლად ჩაუყარა მის მშვიდობიან საგარეო პოლიტიკას. მშვიდობიანობა [illegible] მის—აი საქართველოს პარლამენტის მოქმედების ხაზი. ამიტომ იყო, რომ საქართველოს დემოკრატია ასე აფასებდა თავის უზენაეს დაწესებულებას. სადაც მუშაობდენ მთელი საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელნი განურჩევლად ეროვნებისა. ამ ბოლო დროს მის მშვიდობიანურ პოლიტიკას წინ გადაეღობა სომხეთის მთავრობა, რომელმაც იარაღით ხელში მოისურვა სადავო საკითხების გადაჭრა. მტერი ვერაგულად შემოიჭრა ჩვენი სახელმწიფოს საზღვრებში და დაემუქრა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის თავისუფლებას. ასეთ განსაცდელის ჟამს, როდესაც წყდება საქართველოს ყოფნა არ ყოფნის საკითხი, ყრილობა მოგმართავს თქვენ ხალხის ხდობით აღჭურვილ წარმომადგენლებს და გამოსთქვამს რწმენას, რომ დემოკრატიულ რესპუბლიკის უზენაესი დაწესებულება კვლავ დარჩება მისი უფლების და დამოუკიდებლობის საუკეთესო დარაჯად.

ამასთანავე ყრილობა აცხადებს საჯაროდ, რომ ყველა ზემოდ აღნიშნული დემოკრატიული დაწესებულებანი მთელი თავისი ხივთიერი და ზნეობრივი ძალებით დაეხმარებიან, როგორც პარლამენტს, ისე მის მიერ არჩეულ მთავრობას, ჩვენი თავისუფალ სამშობლოს თავდაცვის საქმეში. დაე იცოდეს ყველამ, რომ მთელი საქართველოს დემოკრატია ამ საბედისწერო ჟამს სდგას შეუდრეკელი და მის დიდებულ დროშაზე აღბეჭდილია: სიკვდილი ან გამარჯვება.

ომი, რომელსაც აწარმოებს სომხეთის დაშნაკცაკანების მთავრობა მიმართულია საქართველოს დამოუკიდებლობის და მის დემოკრატიულ წესწყობილების წინააღმდეგ. სომხეთის მთავრობის გამარჯვება ნიშნავს რეაქციის გამარჯვებას და ანარქიის გამეფებას მთელ ამიერ-კავკასიაში. მისი დამარცხება—რეაქციის დამარცხებაა და რევოლუციის იდეალების ბრწყინვალე გამარჯვება. ასე გაიგო ჩვენმა ხალხმა ეს ომი და ამით აიხსნება ის აღფრთოვანება რომლითაც იგი გაეშურა ბრძოლის ველისკენ. ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს მის წინსვლას. იგი ჩააგებს ამოღებულ ხმალს ქარქაშში მხოლოდ მაშინ როდესაც ვერაგულად მოსული მტერი იცნობს საქართველოს დემოკრატიულ მთავრობის მიერ ნაკარნახევ ზავის პირობებს. ეს იქნებოდა გამარჯვება არა მარტო საქართველოს დემოკრატიის, არამედ მთელი ამიერ-კავკასიის დემოკრატიისა.

ყრილობა ღრმად დარწმუნებულია, რომ საქართველოს პარლამენტი მომავალშიც განაგრძობს თავის მშვიდობიანურ პოლიტიკას და ამ პოლიტიკის წარმოების დროს იგი მტკიცედ დაიცავს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის სუვერენიტეტს. ამის თავდებია ქართული ერის ორი ათასი წლის გმირული ისტორია და მისი ძლიერი შემოქმედებითი სული, გამოწრთობილი ხანგრძლივ რევოლუციონურ ბრძოლაში.

## ახალციხის მაზრის გლეხთა წარმომად. ყრილობა

1 იანვარს, 2 ს., გაიხსნა ახალციხის მაზრის გლეხთა წარმომადგენლების ყრილობა. დაესწრო 130 დელეგატი. ყრილობა გახსნა ლეო რუხაძემ, რომელმაც მისასალმებელი სიტყვით მიჰმართა დელეგატებს. თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქმნა გარნი-ნადირალი-ოღლი გვარამაძე, მის ამხანაგებად ლეო რუხაძე და რუსთან-მუსთაფა-ოღლი. ამ დროს ყრილობაზე მოდის მიწათ-მოქმედების მინისტრი ხომერიკი, რომელსაც გლეხები ხანგრძლივი ტაშით და „გაუმარჯოს საქართველოს რესპუბლიკას“ ძახილით შეხვდნენ. მინისტრმა მეტად მგრძნობიარე სიტყვით მიჰმართა ყრილობას და საქართველოს მთავრობის სახელით აღუთქვა ყველა იმ რეფორმების საჩქაროდ გატარება, რაც მშრომელი გლეხკაცობისათვის დიდად საჭიროა. მინისტრის სიტყვა მქუხარე ტაშით დააჯილდოვეს. ყრილობას მიესალმა აგრეთვე პარლამენტის სოც.-დემ. ფრაქციის სახელით გრ. ცინცაბაძე: აჭარაქობულეთის სახელით—აჭარიდან მოსული წარმომადგენლები და ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წარმომადგენელნი. მომენტის შესახებ მოხსენება გააკეთა ლ. რუხაძემ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს გლეხებმა: ალი-კურსახ-ოღლიმ, გიორგი [illegible] რაგიძ-ალი-ოღლიმ. ყრილობამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელიც საქართველოს მთავრობას ჰპირდება ახალციხის გლეხთა სახელით ყოველ მხრივ დახმარებას დემოკრატიულ რესპუბლიკის განმტკიცებაში და მის წინააღმდეგ მოსეულ მტერთა დამარცხების საქმეში. ყრილობა ჰგმობს სომხის ხალხის ხელმძღვანელების, დაშნაკელების, დამღუპველ პოლიტიკას და საქართველოს მთავრობას უსურვებს ომში გამარჯვებას და ომის დასაბოლოვებლად აღუთქვამს ყოველგვარ დახმარებას. მიწის საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა წერეთელმა, რის შემდეგ ცხარე კამათი გაიმართა და წარმომადგენელთა უმრავლესობამ ამ კამათში მონაწილეობა მიიღო. ამ საკითხში მიწათ-მოქმედების მინისტრის განცხადებას გლეხთა ყრილობა აღფრთოვანებით შეხვდა. მას სიტყვას ხშირად ხწყვეტინებდნენ ტაშის კვრით და ოვაციებით. კამათის შემდეგ ყრილობამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „მოისმინა რა ყრილობამ მოხსენება მიწის საკითხის შესახებ და განცხადება მთავრობის წარმომადგენლისა, სიხარულს გამოსთქვამს, რომ მშრომელ გლეხკაცობას ეძლევა თავის ოფლით მორწყული მიწა-წყალი და ბოლო ეღება თავადების და ბეგების ბატონობას. ყრილობა ახალციხის მაზ. გლეხკაცობის სახელით აცხადებს, რომ საქართველოს დემოკ. რესპუბლიკის მთავრობას ყოველმხრივად ხელს შეუწყობს მიწის საკითხის გლეხკაცობის სასარგებლოდ გადაჭრაში და მთელი ძალღონით დაიცავს საქართველოს დამოუკიდებლობას და მის მთავრობას“.

ამით დასრულდა ყრილობის პირველი დღე. გაგრძელება დანიშნულია 2 იანვარს. გასარჩევია შემდეგი კითხვები: „სამუსულმანო საქართველოს განთავისუფლების საკითხი“; „ერობა“ და „დამფუძნებელი კრების არჩევნები, გლეხთა სამაზრო კოოპერატივის დაარსება და გლეხთა საბჭოს არჩევნები“.

## სასად. და სასტ. საურთ. დამხმ. საზ. კრება.

ქრისტეშობისთვის 29, შესდგა თბილისის სასტუმროების, სასადილოების, მორთულ ოთახების, რესტორანების და სხვათა პატრონთა ურთიერთ დამხმარებელის საზოგადოების კრება. გამოცხადდა 102 წევრი. კრების თავმჯდომარედ აირჩიეს დავით კალანდაძე, მდივნათ ი. რაზმაძე.

თავმჯდომარემ მოახსენა, რომ კრებას აქვს მოსასმენი და განსახილველი მოხსენება საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის წევრთა არჩევნების შესახებ. ამასთანავე ვრცლად გააცნო ინსტრუქცია საარჩევნო პალატისა და წესდება პალატისა. გარდა ამისა მოახსენა თბილისის ვაჭართა და მრეწველთა კავშირის მოქმედების თაობაზე.

საზოგადო კრებამ იქონია მსჯელობა მოხსენების თაობაზე. მიიღო რა მხედველობაში, რომ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ინსტრუქციის და წესდების განხილვის უფლება არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს, ვინაიდგან ამ დიდ მნიშვნელოვან საქმის გადასაწყვეტად საჭირო იყო საზოგადო კრების მოწვევა და დადასტურება. 2. ინსტრუქციასთან და წესდებასთან წევრნი არ არიან გაცნობილნი. 3. ვინაიდგან 30-მდე პალატის წევრთა შემცირება არ დააკმაყოფილებს მთელ საქართველოს ვაჭართ-მრეწველებს და საქმის წარმოებიდან გარიყავს წვრილ მოვაჭრეებს, რომელნიც იქნებიან მასაზღოებელი პალატისა—დაადგინა:

1. მიეცეს წინადადება ქართველ ვაჭართა და მრეწველთა კავშირს, რომელიც ასრულებს თითქმის პალატის მოვალეობას, წევრთა რიცხვი ოცდა ათიდან გადიდებულ იქვეს ას ოცამდე. 2. მოვითხოვთ, რომ კანდიდატების დასახელების ნება მიეცეს საზოგადო კრებას. 3. მოვითხოვთ კრება და არჩევნები მოხდეს ერთ ადგილზე, რაც არჩევნების საქმეს გაადვილებს.

**ზაქაიძე.**

## საერობო არჩევნები ქვემო რაჭაში

საერობო არჩევნებმა უწესრიგოდ ჩაიარა. საარჩევნო კომისიები, თითქმის არსად არ იყო კანონიერად შედგენილი მაგ. საბჭოებს, პარტიებს არ ჰყოლიათ, თავთავიანთ წარმომადგენელები არსად არ გაუმართავთ წინასწარი კრებები, რომ ხალხისთვის აეხ[illegible]. ზოგან ხალხს არც კი გაუგია მაგალ. ხნაკვის საზოგადოებაში, როგორც გადმომცეს. ორ პატარა სოფელს არ გაუგია არჩევნების დღე და შემდეგ კითხულობდნენ „როდის არის არჩევნებიო“. ამას გარდა მოწერილი იყო თურმე რომ მაინც და მაინც იმ დღესვე გაეთავებინათ არჩევნები. რაც ყოვლად შეუძლებელი იყო. ასეთი დაჩქარებით და ჩუმად მოწყობით. მობოლშევიკ ჯარისკაცები უშლიდნენ ხმის მიცემას. ხმები, არც ერთს მაზრაში არ უნდა იყოს მიცემული ისე ცოტა როგორც აქ. ერთ საზოგადოებაში სადაც ორი ათასამდე ხმა ითვლება. მხოლოდ 23 ხმა მიეღოთ.

არჩევნების მწარმოებლებს ეთქვათ ეს ხმები როგორ გავაგზავნოთ, სირცხვილიაო. და ასამდე ხმა დაემატებიხათ თავის ნებით. ბევრგან სხვაგანაც ასე მოხდებოდა. ამის მიზეზები იმაშია „თუ მართალი ხართ მობრძანდით ყველა პარტია აგვიხსენით თქვენ თქვენი პროგრამები და მოგცემთ ხმებს თუ არა თქვენ თქვენთვის და ჩვენ ჩვენთვისო.

რაც შეეხება ჩვენ მიმართულებას, მან ხალხში კიდეც მოიკიდა ფეხი. შესმენილი ნაწილი ხალხისა ამას ემხრობა, მცირეოდენის გამოკლებით. მაგრამ როგორც ეტყობა ამ პარტიის სამაზრო კომიტეტი, ფხიზლად ვერ მოქმედობს. ამ წლის დამდეგს, გუბერნიის კომიტეტს ამ პარტიისას. ს. მცხოვრებნი ი. კიკვაძე და გ. მურუსიძე დაჰპირებიან ქვემო რაჭისათვის კომიტეტის დაარსებას. მაგრამ არა გაუკეთებიათ რა. მაზრის კომიტეტს კი ქვემო რაჭისათვის ჰყოლია წარმომადგენლად ვინმე ბოჭორიშვილი (მასწ. მას მისთვის კი თავის ჭკუით შეუდგენია სია, არავის არ დაჰკითხებია რომ საერთო ძალით ემოქმედნათ. სხვათა შორის შეუტანია სიაში ზემოდ დასახელებულნი მომტყუებლები კიკვაძე და მურუსიძე. თითქოს სხვა არავინ იშოვებოდა. და გაუგზავნია გვიან რის გამოც ბიულეტენებმა არჩევნებს ვერ მოუსწრეს. პარტიამ ქვემო რაჭაში რამოდენიმე ათასი ხმა დაჰკარგა. ეს ბოჭორიშვილი ამ ჟამად მის საზოგადოებაში კომიტეტის წევრად არის. და კომიტეტის თავმჯდომარეობას ასრულებს. მაგრამ არჩევნები გარეშეებუწარმოებიათ. არ შეუდგენიათ კომისია. როდესაც ერთი სოფელი ი: გოგოშიძის მეთაურობით მოსულა და მოუთხოვია ერ. დ. ბიულეტენები.

„მეთვალყურე.“

## კორესპონდენცია

### სოფ. ფშაველი

(კახეთი)

ფშაველი ერთი უპატრონო სოფელია. აქ არ არსებობს არც სასოფლო სამმართველო, არც მსაჯულებია, არც მტკიცე ადმინისტრაცია, არც ერთკლასიანი სკოლა, რომელიც საცაა ისიც დაინგრევა რაც იყო. არც გზები არც რუები და არც ის ვენახ-ბაღები, რომელიც წინათ ცოტათი მაინც წაავგავდენ რამე. ისე სასაცილოთ ასაგდები საკვირველია იმ უპასუხისმგებლო პირების საქციელი, რომლებიც საქმეს სათავეში ჩასდგომიან და ყოველივე კეთილს და მიზანშეწონილს საჭირო საქმეს ახრჩობენ. განა სულელი არ უნდა იყოს ის ექიმი რომელიც ფშაველს ციებ-ცხელებიანს ადგილს უწოდებს, ამას ამტკიცებს და ამავე დროს უარს ჰყოფს აქ საავათმყოფოს გახსნაზედ ან საფერშლო პუნქტის დაარსებაზედ? განა ჭკუათამყოფელი ის მოხელე, რომელიც ფშაველს გაველურებულს კუთხეს ეძახის და იმავე დროს ყველას უმტკიცებს რომ იქ ჯერ მეორე სკოლა, ან სწავლა-განათლებით აღჭურვილი კომისარი და მოხელეები საჭირონი არ არიან. ან ის აგრონომი და მეურნე რა ჰრილობის მალამო უნდა იყოს, რომელიც საცდელს მანქანებს იქ მიარბენინებს საცა კერძო მანქანებიც ბლომათაა, ისეთი დაწესებულებაც კი როგორიც არის ფოშტატელეფონი ვიღაცა არამკითხეების წყალობით ფშაველს აალდინეს, მაგრამ ამ დიდ კაცებს, რომლებიც ესე სიმართლით უყურებენ საქმეს, პატარა კაცუნებმა აჯობეს და ისე ველური ფშავლის ხალხი მოითხოვს რაც შეიძლება ჩქარა დაწესდეს ესეთი საჭირო დაწესებულება.

ყველაფერი რაც კი დღეს სოფელს ატყდება თავზედ მიზეზია იმ ზემოხსენებულ პირებისა, რომელთაც ისეთი წარმოდგენა აქვთ რომ „მივწერე და მორჩა გაკეთდაო“. დღეს ომის ხანაში [illegible] არას გვიშველის ყველა დარგის მოხელე ალაგობრივ უნდა ეცნობოდეს საქმეს.

ადგილობრივი სომხობა ათასნაირ ხრიკებს მიჰმართავს. დაძვრებიან და სოფლელებს ჩასძახიან, რომ ეს ომი თავადებმა და ბურჟუებმა ასტეხეს; რომ სომხეთს თქვენთან რა საქმე აქვს, რომ ინგლისი სულ ერთია დაგვიჭერს. პური, ქერი, სიმინდი შეინახეთ, ორმოცი-სამოცი თუმანი გახდება და ბევრი სხვა. ეს შეიძლება სოფლის პატრონმა არაფრად ჩააგდოს.

მართალია, საფრთხე ქალაქებშია, მაგრამ ნურც სოფელს მივანებებთ თავს თორემ ჩვენი გულუბრყვილო გლეხი ანკესზე ადვილად ეგება როცა მას ალერსიანი მოქნილი ენა ემუსაიფება.

**წყაროსთაველი.**

### ე რ წ ო.

ერწოს მიდამოებში ელვასავით გაისმა ამბავი: „სომხებმა ომი გამოგვიცხადესო“. ეს ამბავი არა ჩვეულებრივი იყო, და სწორედ ამ მიზეზით მოხდა ყრილობა, საყდრიონის საზოგადოებისა სოფ. საყარაულოში, 22 ქრისტეშობისთვეს. აქ იყვნენ შეკრებილნი კახელი, ფშაველი და ხევსური. ყრილობაზე სიტყვა წარმოსთქვა შაქრო გელოვანმა. მან ხალხს აუხსნა ეს სამშობლოს განსაცდელი და მოუწოდეს: „ვისაც გული და სამშობლოს სიყვარული გაქვთ, ახლა გამოგიჩნდებათ, [illegible] რომ წლოვანობის [illegible], მოხალისებათაც მოვალენი ვართ წავიდეთ, და ვინც წავა, მათ მეთაურობას მე ვკისრულობ“. შაქრო გელოვანის სიტყვის შემდეგ დიდძალი ხალხი ჩაეწერა ომში წასასვლელათ. მოხალისეთა შორის 60—65 წლიანებიც არიან. ისინი საყვედურს აცხადებდნენ: „რატო ქუდზე კაცს არ გვეძახიანო“.

ერწოში ზოგ-ზოგი სომხები თავს იკატუნებენ და ამბობენ: „ჩვენ რა შუაში ვართ, თქვენი ძმები ვართ, ეგ ჩხუბი სულ კრუა სომხეთის ბრალიაო, მაგრამ ხალხი იმას გაიძახიან: „გვეყო ამდენი მოტყუება სომხებისგნითაო“.

**ქართველი—ოხებში ნამყოფი.**

### თიანეთი.

მობილიზაციის გამოცხადებამ ხალხი აალელვა და ხალისით მიისწრაფის სამშობლოს დასაცველად. დატუსაღებულია რამდენიმე გავლენიანი სომეხი, რომელნიც ხალხში პროპაგანდას ეწეოდენ. გარდა იმისა რომ წლოვანობით მოთხოვნილნი გაიწვიეს, ბევრი თვითონ მოხალისედაც ეწერება. მოხალისედვე ჩაეწერნენ მასწავლებელნი: კ. გოგოლაძე და ა. დოლიაშვილი. თიანეთის მაზრის ექიმი სომეხია, ვაჟბატონი ხალხში ცუდ ხმებს ატარებს, საჭიროა ამ ექიმსაც ფიცხელი ყურადღება მიაქციოს თიანეთის მმართველობამ.

**თიანელი.**

## შეწირულება

სახალხო გვარდიის მთავარ შტაბმა დღემდე მეომართა სასარგებლოდ შემდეგი შეწირულებანი მიიღო. 1) სოფელ ბოდბის-ხევის მცხოვრებთაგან—1.000 ფ. ფქვილი. 2) პარლამენტის წევრის ბუზიაშვილისაგან—5,000 ც. პაპიროსი, 3) მ. ზაალიშვილიდან—1.000 მან., 4) ვ. ჩხეიძისაგან—40 მ. ფული და სხ. და სხ. საქონელი, 5) კავთის-ხევის მცხოვრებლებიდან—ნ. და ი. მჭედლიშვილებისაგან—500 მ., 6) ექიმ მ. ვეფხვაძისაგან—20 მ., 7) ს. ტატუაშვილისაგან 200 მ., 8) ი. როსტომაშვილისაგან—110 კოლოფი პაპიროსის ქაღალდი, 9) სიღნაღის ქალაქის თვითმართველობის მოსამსა[illegible] 350 მ., 10) ნ. ანჯაფარიძისაგან—20 მ., 11) რ. ლევინოვისაგან—20 მ., 12) მ. ბაშარული 5.500 ცალი პაპიროსი, 13) „ბოზარჟიანცი“-ს ქარხნის მუშებისაგან—40.000 ც. პაპიროსი, და 500 მ. ფულად, 14) მდ. კორნელი ელიზბაროვისაგან—6 ც. სათბური, 15) ელენე ბებუთაშვილისაგან—200 ც. პაპიროსი, 2 ნაჭ. საპონი და 2 ათეული წუმწუმა.

## წერილი რედაქციის მიმართ

მოქალაქე რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენი გაზეთის უახლოეს ნომერში ამ წერილს: დაბეჯითებით ვთხოვ ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების ვერის წიგნთსაცავ სამკითხველოს იმ თვიურ მკითხველთ, რომელთაც დიდი ხანია წაღებული აქვთ წიგნები, დააბრუნონ რაც შეიძლება მოკლე ხანში, ვინაიდან სამკითხველო დიდ უწიგნობას განიცდის ამ ჟამად. ვთხოვ აგრეთვე პატივცემულ ქართველ საზოგადოებას, თუ კი ვისმე მოეპოვება და გაემეტება შემოსწიროს ხსენებულ სამკითხველოს ქართველ და უცხოელ მწერლების ნაწერები.

ვსთხოვ თბილისის ყველა ქართულ გაზეთებს გადაბეჭდონ ეს წერილი.

ვერის **სამკითხველოს გამგე**

ზ. მ. კ ზ კის ფოტოგრაფიაში

გაიხსნა **სტუდია** მხატვრულ სურათების შესასრულებლად

სურათები შესრულებული იქნება, ზეთის (აკვარელის) და სხვა და სხვა საღებავებით. მხატვრულ შესრულების მხრით ფოტოგრაფია სრულ პირობას იძლევა. ფოტოგრაფია ღია 9 ს. 5 ს. (ერევნის მოედანი—სოლოლაკი).

(10—85—8)

**ქართველო ვაჭრენო და მრეწველნო!**

**თქვენი სამშობლო განსაცდელშია.** უდიდესი ხიფათი მოელის თქვენს ერს, თქვენს მამულს, თქვენს თავსა და ოჯახს. ყველა ქართველი ვაჭარი და მრეწველი მოვალეა ყველაფერით დაეხმაროს მთავრობას ომის საქმეში და თავისი ვალი მოიხადოს წინაშე სამშობლოსი.

თბილისის ქართველ ვაჭარ-მრეწველთა ყრილობამ იმსჯელა ამის შესახებ და დაადგინა: 1) შეგროვილ იქმნეს ქართველ ვაჭარ-მრეწველთა შორის 10 მილიონი მანეთი; 2) დაიყოს საქართველო ვაჭართა რაოდენობის მიხედვით რაიონებად და თითო რაიონს გაეწეროს ხვედრი თანხა; 3) ფულის გადახდა ყველასთვის სავალდებულოა; 4) შეგროვილი ფული უნდა შეტანილ იქმნეს ამიერ-კავკასიისა ან სამეურნეო ბანკებში თბილისში.

**ფულის შემკრები მთავარი კომიტეტი.**

(7—89—5)

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გამზეილ შესახვევი № 1,